# ალია

## რატომ არ ურთავენ კონდიციონერს ყვითელი „მარშუტკების“ მგზავრებს




რა განუმარტეს ,,ალიას“

N110/3040/ 18-21 ივლისი 2014 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# ეროსი კიწმარიშვილის ავტოსადგომთან მისმა მეზობელმა კიდევ ერთი სამხილი აღმოაჩინა




„ეს ეროსი კიწმარიშვილის სიცოცხლეში გადაღებული ბოლო კადრია. 2014 წლის 15 ივლისს, 15:05 საათზე, ეროსი საკუთარი ბინიდან გამოდის, ლიფტს იძახებს და ქვემოთ ჩადის. ეს კადრები კიწმარიშვილის მეზობლის სათვალთვალო კამერამ ლიფტის ლოდინისას დააფიქსირა. ამ კადრებს ამჟამად პროკურატურა სწავლობს. აქ საინტერესო ის არის, რომ კიწმარიშვილი ლიფტთან მაისურით დგას, მანქანაში კი პიჯაკი ეცვა“




„იმ ავტოსადგომში, საკმაოდ დიდხანს, არც ერთი კამერა არ მუშაობდა, ყველა მათგანი დიდი ხნის წინ გამოვიდა მწყობრიდან. ეროსი კიწმარიშვილმა კი, საკუთარი ინიციატივით დააყენა ერთადერთი კამერა, რომელიც მხოლოდ ავტოსადგომის იმ მონაკვეთს აფიქსირებდა, სადაც თავად აჩერებდა ავტომობილს“

## მარგველაშვილის ჩასვლის გამო, ივანიშვილი ურეკიდან ჭორვილაში წავიდა

## საკითხები, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშში არ მოხვდა

## როგორ აწერენ ფულს პატიმრებს

ნანა კაკაბაძე დეტალებს ხსნის

## როგორ გამოიყენებენ „ნაციონალები“ ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო გარდაცვალებას?




## გარემოს დაცვის სამინისტროს კორუფციული სქემა



# მარგველაშვილის ჩასვლის გამო, ივანიშვილი ურეკიდან ჭორვილაში წავიდა

ბოლო ერთი კვირაა, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ურეკში, სასტუმრო „კოლხეთში" ისვენებს. ის დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი სამგზავრო მატარებლით ჩავიდა და ბილეთის ფულიც პატიოსნად გადაიხადა. წესით, კაცი რომ ურეკამდე მატარებლით ჩავა, იმან სოფელში მიშა სააკაშვილივით ველოსიპედით უნდა იაროს, მაგრამ როგორც „ალიას" თვითმხილველები უყვებიან, მარგველაშვილს იქ შავი ჯიპების ესკორტი დახვდა. თუკი ჯიპები ურეკში მაინც ჩაიყვანეს და ჩვენი ბიუჯეტიდან ფული მაინც დაიხარჯა, მაშინ რაღა საჭირო იყო მატარებლით მგზავრობა? როგორც ხედავთ, პიარი ისეთი ოხერი რამეა, ერთი მხრივ ტაშს დაგაკვრევინებს, მეორე მხრივ – ენაზე გაკბენინებს და სიმართლის გაგების შემთხვევაში ხელსაც ჩაგაქნევინებს. ჩვენ რომ ვფიქრობთ, მარგველაშვილმა ფული დაზოგა, ურეკში წასასვლელად მატარებელი არჩიაო, ამ დროს ჯიპების ესკორტი თბილისი-ოზურგეთის ტრასაზე ასეულობით ლიტრ ბენზინს შთანთქავს და ბუნებას აბინძურებს (როგორც მითხრეს, პრეზიდენტის მანქანებს კატალიზატორები ამოცლილი აქვს). ერთ-ერთი ადგილობრივი თვითმხილველის თქმით, „კოლხეთი" ერთი პატარა, ჩვეულებრივი სასტუმროა, თითქოს მარგველაშვილი უბრალოებას აწვება, მაგრამ ხალხთან არც კი გამოსულა სალაპარაკოდ:

„მთელი ამბავი იყო, ჩამობლაყუნდა ამხელა კაცი, თანმხლებ პირებთან ერთად დაბანაკდა სასტუმროში. მერე ერთი დღით ბათუმში წავიდა, მეორე დღეს მობრუნდა და ახლაც აქაა. სასტუმროს ეზოში გამოდის ხოლმე და თავისივე გარემოცვასთან ერთობა. ისე, რამხელა ყოფილა? თავის უზარმაზარ ჯიპს ერთი თავით ზემოდან დაჰყურებს".

რატომ გადაწყვიტა გიორგი მარგველაშვილმა დასვენება ურეკში და არა ბოდრუმში, როგორც მისი წინამორბედი აკეთებდა? ინკოგნიტო წყაროს თქმით, მან, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ურეკში იმყოფებოდა და იფიქრა, მიმიღებს, შევხვდები, დავილაპარაკებთ, ვინ იცის, შემირიგოს კიდევაცო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა:

„როგორც კი მარგველაშვილი ურეკში ჩავიდა, ბიძინა ივანიშვილმა ბარგი ჩაალაგა და ჭორვილაში წავიდა. სანამ პრეზიდენტი იქ არის, ბიძინა საერთოდ არ გამოჩნდება. არადა, ამან იფიქრა, სტუმრად ჩავდივარ, იძულებული გახდება, გადამიპატიჟოსო. მარგველაშვილი კარგად ვერ იცნობს ივანიშვილს, თუ მაგან ადამიანი შეიყვარა, ბოლომდე ჩაჰყვება, თუ შეიძულა – ბოლომდე ამოთხრის. აი, ეს ვერ გათვალა და ამიტომაც დაიწყო მასთან „ბლატაობა". ვის ექიმები, შვილო, წადი რა, ტოლი ნახე, კოჭი გააგორე, ამ ადამიანმა კაცად გაქცია, ისეთ სკამზე დაგსვა, კარგ სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდი და არჩევნებიდან ერთ თვეში ეუბნები, მკიდიხარო, ამას გაპატიებს? იჯდეს ახლა მარგველაშვილი ურეკში და ყოველ დილით ურტყას „კრუგები" ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციას".



„მარგველაშვილი კარგად ვერ იცნობს ივანიშვილს, თუ მაგან ადამიანი შეიყვარა, ბოლომდე ჩაჰყვება, თუ შეიძულა – ბოლომდე ამოთხრის. აი, ეს ვერ გათვალა და ამიტომაც დაიწყო მასთან „ბლატაობა". ვის ექიმები, შვილო, წადი რა, ტოლი ნახე, კოჭი გააგორე, ამ ადამიანმა კაცად გაქცია, ისეთ სკამზე დაგსვა, კარგ სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდი და არჩევნებიდან ერთ თვეში ეუბნები, მკიდიხარო, ამას გაპატიებს?"



„როგორც კი მარგველაშვილი ურეკში ჩავიდა, ბიძინა ივანიშვილმა ბარგი ჩაალაგა და ჭორვილაში წავიდა. სანამ პრეზიდენტი იქ არის, ბიძინა საერთოდ არ გამოჩნდება. არადა, ამან იფიქრა, სტუმრად ჩავდივარ, იძულებული გახდება, გადამიპატიჟოსო"

მე პირადად გადავამოწმე ადგილობრივებთან და ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ამჟამად ურეკში არ იმყოფება, ის მარგველაშვილის ჩასვლისთანავე „გაუჩინარდა" და მას შემდეგ არ გამოჩენილა.

18 ივლისს საქართველოს პარლამენტში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების საზეიმო რატიფიცირება მოხდება. ამ ღონისძიებას პრეზიდენტი მარგველაშვილი არ დაესწრება. როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, **თიკო მჟავანაძე** ამბობს „ალიასთან" საუბარში, პარლამენტიდან მარგველაშვილს მოსაწვევი არ მიუღია:

**— თიკო, პარლამენტიდან მოსაწვევი მიიღო პრეზიდენტმა?**

– არა, არავითარი მოსაწვევი არ მიგვიღია.

**— პრეზიდენტი რას აპირებს?**

– არ ვიცი, ამ საკითხზე არ დავლაპარაკებივარ. თვითონ რას გადაწყვეტს, ვერ გეტყვი.

**— ამჟამად სად იმყოფება?**

– ამჟამად პრეზიდენტი ურეკშია.

**აი, რას ამბობს პარლამენტის პრესსამსახურის წარმომადგენელი მადონა ნოზაძე „ალიასთან" საუბარში:**

**— მადონა, პარლამენტმა გიორგი მარგველაშვილს მოსაწვევი გაუგზავნა?**

– როგორც წესი, ასეთ დროს პრეზიდენტს მოსაწვევი არ ეგზავნება, მას აქვს უფლება, ნებისმიერ დროს ნებისმიერ ღონისძიებას დაესწროს. თუ პარლამენტი ამ შემთხვევაში რამეს გადაწყვეტს და გაუგზავნის, ამის შესახებ ჯერჯერობით არ მაქვს ინფორმაცია, არაფერი ვიცი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რატიფიცირებას სრული შემადგენლობით დაესწრება საქართველოს მთავრობა და პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარდგება პრემიერ-მინისტრი. პრინციპში, მარგველაშვილს დაპატიჟება არც უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ ივანიშვილთან და ასევე ღარიბაშვილთან დაძაბული ურთიერთობის, უფრო სწორად, განწყვეტილი ურთიერთობის გამო დაკომპლექსებულია და მუდმივად მოსაწვევს ელოდება. როგორც უმრავლესობის წევრები ამბობენ, თუ პრეზიდენტს სურვილი გაუჩნდება, მას შეუძლია რატიფიკაციის პროცესს დაესწროს. მაგალითად, უმრავლესობის წევრის, ლევან ბერძენიშვილის თქმით, სასიხარულო ამბავზე სტუმარს დაპატიჟება არ სჭირდება:

„მინდა გითხრათ, რომ პროტოკოლი მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა ამ საკითხსაც ევროპული კანონმდებლობა დაარეგულირებს, იმისთვის, რომ ხელისუფლების შტოებს შორის ჰარმონიზაცია იყოს".

ესე იგი, ლევან ბერძენიშვილის დავთრების მიხედვით, გადაპატიჟება-გადმოპატიჟებას მომავალში ევროპული კანონმდებლობა დაარეგულირებს, მანამდე კი გიორგი მარგველაშვილი სასტუმრო „კოლხეთის" ვიწრო ნომერში უნდა იჯდეს დასჯილი ყმაწვილივით. მოკლედ, ასეა თუ ისე, მარგველაშვილი უკვე ბოლომდეა ფსიქოლოგიურად „მიჭირხნული" და დასწრება-არდასწრებაზე ლაპარაკსაც აღარ აქვს აზრი.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „სამწუხაროდ, საქართველომ პოლიტიკურად ჩასარეცხი ხალხი ვერ ჩარეცხა"



თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას განცხადებით, მისი ადვოკატისა და ოჯახის წევრების მიმართ მუქარა და ზეწოლა მიმდინარეობს.

„მე სრულებით არ მადარდებს ჩემი ოჯახის მდგომარეობა, რადგან ნებისმიერი მუქარა, ამ ჭიანჭველების მხრიდან, მხოლოდ მუქარაა და ვიცი, რომ ამის იქით ვერ წავლენ. ამ ხალხს კიდევ ერთხელ უნდა გავუმეორო, რომ ეს ქვეყანა არ არის 90-იანი წლების რუსეთი და 90-იანი წლების ბიძინა ივანიშვილის აზროვნება... აი, ეს არის ის პოლიტიკურად ჩასარეცხი ხალხი, რომელიც საქართველომ ვერ ჩარეცხა. ესენი არიან ის მუმიები, რომლებიც აღდგნენ 90-იანი წლიდან და გვასწავლიან ჭკუას... ყველამ ვიცით კანონიერი ქურდების შესახებ და სანამ კანონი არ მივიღეთ, ამის შესახებ არაფერი არ ხდებოდა. ეხლა ყველამ ვიცით მაფიოზების შესახებ, პოლიტიკური მაფიოზების შესახებ. უნდა მივიღოთ კანონი პოლიტიკური მაფიის შესახებ, რომლის ქვეშაც ექცევა ბიძინა ივანიშვილი", – განაცხადა ახალაიამ.

აღნიშნული განცხადების შემდეგ ბაჩო ახალაიამ სასამართლო პროცესი დატოვა, სადაც ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმე იხილებოდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ავტომანქანა ჯერ — ახალგაზრდა ქალბატონს, შემდეგ კი ხეს შეეჯახა



ავტოსაგზაო შემთხვევა გორში, კარალეთის დევნილთა ჩასახლებასთან მოხდა. „მერსედესის" მარკის ავტომობილი ჯერ – მოსაცდელ ჯიხურთან მდგარ ქალბატონს, მოგვიანებით კი ხეს შეეჯახა. ქალბატონმა ქვედა კიდურების არეში დაზიანებები მიიღო. იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულება „გორმედიში" გადაიყვანა. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ექიმების განცხადებით, დაზარალებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. (ნიუპოსტი)

საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“

# ეროსი კიწმარიშვილის ავტოსადგომთან მისმა მეზობელმა კიდევ ერთი სამხილი აღმოაჩინა

ეროსი კიწმარიშვილის საიდუმლოებით მოსილი გარდაცვალების შესახებ, მთავარი პროკურატურა, გამოძიებისთვის ხელის არშეშლის მოტივით, ახალს არაფერს აცხადებს. შესაძლოა, პროკურატურის ეს დუმილი მართლა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარეობს, ანდა, შესაძლოა, გამოძიება ჩიხშია შესული, რაც თქვა, იმის მეტი მნიშვნელოვანი არაფერი აქვს სათქმელი და ამიტომაც დუმს. დროის მოგების მიზნით, ამგვარ ტაქტიკას ხშირად მიმართავენ საგამოძიებო ორგანოები, როცა ძალიან უჭირთ. თუმცა, ეროსი კიწმარიშვილის ძალიან საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ინტერესი ძალზე მაღალია, გაჩნდა მრავალი კითხვა და მთავარი პროკურატურა მოვალეა, ამ კითხვების ნაწილს მაინც გასცეს პასუხი, საქმის ის დეტალები მაინც გაახმაუროს, რომლებიც გამოძიებას ხელს არ შეუშლის.

მოკლედ, საზოგადოება ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების შესახებ, სერიოზულ ინფორმაციულ დეფიციტს განიცდის. ჟურნალისტებსაც ისღა დაგვრჩენია, კულუარებში ვეძებოთ ინფორმაციები და აქედან რაც დამაჯერებელია, ის მივაწოდოთ ხალხს და ამ საქმის შესახებ მხოლოდ ვერსიების დონეზე ვიმსჯელოთ, რადგან ფაქტები პროკურატურის სეიფებშია გამოკეტილი.

„ალია“ შეეცადა, დამატებითი ინფორმაციები მოეპოვებინა. გუშინ ამ მიზნით მის საცხოვრებელ სახლთან რამდენიმე საათი დავყავი და უპირველესად, იმ ავტოსადგომის ნახვა მოვინდომე, სადაც მანქანაში მკვდარი ეროსი იპოვეს. ავტოსადგომი დაკეტილი დამხვდა, კარებს ბოქლომი ედო. შს სამინისტროს იქვე მდგარმა თანამშრომელმა ავტოსადგომში არ შემიშვა. ავტოსადგომში არც ამ კორპუსის მაცხოვრებლებს უშვებდნენ, რამდენიმე ავტომობილი უკან გააბრუნეს. მოგვიანებით, ეროსი კიწმარიშვილის მეზობლებსა და მის უბანში არსებული სამომსახურეო ობიექტებისა და მარკეტის თანამშრომლებს გავესაუბრე. ცხადია, კონფიდენციალურობის სრული დაცვის გარანტიით, რადგან ეროსი კიწმარიშვილის შესახებ ღიად ლაპარაკს ყველა გაურბის.

ამ ხალხისგან გავარკვიე, ავტოსადგომის დაკეტვის მიზეზი. შს სამინისტროს თანამშრომლები, მათ შორის კრიმინალისტები და ექსპერტები, ეროსი კიწმარიშვილის მეზობლის შეტყობინების საფუძველზე კიდევ ერთხელ მისულან ავტოსადგომზე. ამ მეზობელს, რომელიც საკუთარ მანქანას ეროსის ავტოსადგომის ახლოს აჩერებდა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი შეუნიშნავს ეროსის ავტოსადგომის სიახლოვეს, კერძოდ, სამხილი. ეტყობა, ეს დეტალი გამოძიებას შემთხვევის ადგილის მოკვლევისას და გამოძიების შემდგომ ეტაპზეც გამორჩა. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ არაერთხელ ვთხოვე ავტოსადგომის დარაჯად მდგარ პოლიციელს, ეთქვა ჩემთვის, რა სამხილი აღმოაჩინა ეროსის მეზობელმა და რას უტარებდნენ ექსპერტიზას კრიმინალისტები, არაფერი არ გამიმხილა. კრიმინალისტები, თვითმხილველთა თქმით, 3 საათისთვის მოვიდნენ და 7 საათისთვის, როცა იქაურობა დავტოვე, კვლავ ავტოფარეხში იყვნენ. ეტყობა, მეტად მნიშვნელოვანი სამხილის შესახებ შეატყობინა კიწმარიშვილის მეზობელმა პოლიციას, რაკიღა ამდენ ხანს მოუნდნენ მის შესწავლა-გამოკვლევას.

ეროსი კიწმარიშვილის მეგობარმა, ბადრი ნანეტაშვილმა მომხდარის დღესვე განაცხადა, რომ ეროსი კიწმარიშვილმა იარაღი საკუთარ ძმას დაბადების დღეზე უყიდა. ეროსიმ მე ასე მითხრაო. სავარაუდოდ, ეროსიმ სიმართლე არ უთხრა ნანეტაშვილს. პირადად მე ეროსი კიწმარიშვილთან დაახლოებულმა ადამიანმა მითხრა, რომ ზურა კიწმარიშვილს დაბადების დღე 4 ივლისს ჰქონდა. ეროსის ძმისთვის,

გაგრძელება მე-4 გვერდზე




„იმ ავტოსადგომში, საკმაოდ დიდხანს, არც ერთი კამერა არ მუშაობდა, ყველა მათგანი დიდი ხნის წინ გამოვიდა მწყობრიდან. ეროსი კიწმარიშვილმა კი, საკუთარი ინიციატივით დააყენა ერთადერთი კამერა, რომელიც მხოლოდ ავტოსადგომის იმ მონაკვეთს აფიქსირებდა, სადაც თავად აჩერებდა ავტომობილს“




„ეს ეროსი კიწმარიშვილის სიცოცხლეში გადაღებული ბოლო კადრია. 2014 წლის 15 ივლისს, 15:05 საათზე, ეროსი საკუთარი ბინიდან გამოდის, ლიფტს იძახებს და ქვემოთ ჩადის. ეს კადრები კიწმარიშვილის მეზობლის სათვალთვალო კამერამ ლიფტის ლოდინისას დააფიქსირა. ამ კადრებს ამჟამად პროკურატურა სწავლობს. აქ საინტერესო ის არის, რომ კიწმარიშვილი ლიფტთან მაისურით დგას, მანქანაში კი პიჯაკი ეცვა“

**2005 წლის თებერვალში, როცა ზურაბ ჟვანია მოკლეს, კიწმარიშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ტრიალებდა და მრავალ საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი. თუ ლევან ჩიტაძე მართალს ამბობს და კიწმარიშვილი ნამდვილად უნდა დაეკითხა პროკურატურას, შესაძლოა, ეროსი იმ ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა მოკლა, ვის წინააღმდეგაც, შესაძლოა, ჩვენება მიეცა**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ავტობუსში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო



№19 ავტობუსში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო.

თვითმხილველების ინფორმაციით, ავტობუსის მძღოლსა და ერთ-ერთ მგზავრს შორის მომხდარი დაპირისპირება მძღოლის გარდაცვალებით დასრულდა. შელაპარაკება მგზავრობის დროს დაიწო. მგზავრს სურდა, მძღოლის გვერდით სავარძელზე დამჯდარიყო, თუმცა მძღოლმა მას უარი იმ მიზეზით უთხრა, რომ სარკეს მოეფარებოდა. ამან გამოიწვია მამაკაცის გაღიზიანება და ავტობუსს ბოლო გაჩერებამდე მიჰყვა, შემდეგ მძღოლს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მძღოლი ძირს დავარდა. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას კი მამაკაცი გარდაცვლილი დახვდა. (ფრონტნიუსი)

## 6 თვის დანაშაულის სტატისტიკა



შინაგან საქმეთა სამინისტრო ივნისის თვის და 6 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. შსს-ს ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 12881 დანაშაული, აქედან 7667 დანაშაული გაიხსნა.

დანაშაულის გახსნის კოეფიციენტია 59,52%. წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 16,91%.

მიმდინარე წლის ივნისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2002 დანაშაული, აქედან 977 დანაშაული გაიხსნა.

დანაშაულის გახსნის კოეფიციენტია 48,8%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 25,1%. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სინოპტიკოსები ზაფხულის ბოლომდე ძლიერ სიცხეს პროგნოზირებენ




ივლისის ბოლომდე საქართველოში მაღალი ტემპერატურა შენარჩუნდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსის სვეტლანა ნიორაძის განცხადებით, 18-დან 21 ივლისის ჩათვლით დასავლეთ საქართველოში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, რის შედეგადაც ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ, შედარებით დაიკლებს და 27-32 გრადუსი იქნება.

20-21 ივლისს საღამოსა და ღამის საათებში ხანმოკლე წვიმებია მოსალოდნელი ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის თბილისშიც, რის შედეგადაც ჰაერის ტემპერატურა 35-36 გრადუსი იქნება.

21 ივლისის შემდეგ თვის ბოლომდე საქართველოში მაღალი ტემპერატურაა მოსალოდნელი. სინოპტიკოსები ცხელი ზაფხულს პროგნოზირებენ და აცხადებენ, რომ აგვისტოშიც მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდება. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის, დაგვიანებით დაბადების დღისა და სხვა დღესასწაულების მილოცვა და საჩუქრის ყიდვა არ სჩვეოდა. ის ძმას საჩუქარს აუცილებლად 4 ივლისსვე მიუძღვნიდაო. გარდა ამისა, იგივე წყარო აცხადებს, რომ ზურაბ კიწმარიშვილს იარაღი საერთოდ არ იტაცებს, სახლში სანადირო თოფიც კი არ აქვს და არასდროს გასჩენია სურვილი, რომ იარაღი ეყიდა. ეს ეროსიმაც ჩინებულად იცოდა და ძმას, თუნდაც საჩუქრად, ისეთ რაღაცას არ უყიდდა, რაც მას საერთოდ არ აინტერესებდა. ძმას ის ანებივრებდა და 2004 წელს, დაბადების დღეზე, ძვირადღირებული ავტომობილი, „ლენდ როვერ სპორტი" უყიდა. ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ძმას ასეთი ძვირფასი საჩუქარი აჩუქაო. მოკლედ, ბადრი ნანეტაშვილს ნამდვილად მოუწევს იმაზე დაფიქრება, მოატყუა თუ არა მეგობარმა, როცა უთხრა, რომ იარაღს ძმისთვის საჩუქრად ყიდულობდა და თუ მოატყუა, რატომ.

გამოდის, ეროსი კიწმარიშვილს ძმისთვის კი არა, საკუთრივ ნდომებია ეს იარაღი. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის რაღაც საფრთხეს ელოდა და იარაღიც იმიტომ შეიძინა. ამ ვერსიას ერთი ფაქტიც ამყარებს, რომელიც კიწმარიშვილის ერთმა მეზობელმა მითხრა. დღემდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ავტოსადგომი სათვალთვალო კამერებით იყო აღჭურვილი და ყველა კამერა მუშაობდა. გუშინ კი გავარკვიე, რომ იმ ავტოსადგომში, საკმაოდ დიდხანს, არც ერთი კამერა არ მუშაობდა, ყველა მათგანი დიდი ხნის წინ გამოვიდა მწყობრიდან. ეროსი კიწმარიშვილმა კი საკუთარი ინიციატივით დააყენა ერთადერთი კამერა, რომელიც მხოლოდ ავტოსადგომის იმ მონაკვეთს აფიქსირებდა, სადაც თავად აჩერებდა ავტომობილს. მეზობელი ვერ აკონკრეტებს, ზუსტად როდის დააყენებინა კამერა კიწმარიშვილმა ავტოსადგომზე, თუმცა, მისივე თქმით, ეს მაქსიმუმ, 1 თვის წინ მოხდა, რადგან 1 თვის წინ თავად ნახა, რომ კამერა არ იყო დამონტაჟებული. საგანგებოდ ნაყიდი იარაღი და ასევე, საგანგებოდ, გარაჟში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერა უკვე იძლევა იმის რეალურ საფუძველს, რომ ვივარაუდოთ, ეროსი ძალზე ფრთხილობდა და ეს ყველაფერი მას თავდასაცავად სჭირდებოდა. ვისგან უნდა დაეცვა თავი, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუმცა, ერთ საგულისხმო ვერსიას მაინც შემოგთავაზებთ.

გიგი უგულავას დაჭერის შემდეგ, 7 ივლისს ეროსი კიწმარიშვილმა მედიით განაცხადა, ძალიან მალე, კონკრეტულად კი 11 ივლისს, პარასკევს კიდევ ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს დაიჭერენო. თუმცა, მეტი აღარ დაუკონკრეტებია. მაშინ არავის უცდია გარკვევა, რის საფუძველზე აცხადებდა ამას კიწმარიშვილი, პროკურატურიდან ჰქონდა ინფორმაცია, თუ სხვა წყაროდან. გუშინ უფლებადამცველმა ლევან ჩიტაძემ განაცხადა, რომ ეროსი კიწმარიშვილი მთავარ პროკურატურას ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით უნდა დაეკითხა. ეროსი კიწმარიშვილს, ლოგიკურად, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შესახებ ბევრი რამ უნდა სცოდნოდა. ის ჟვანიას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო. ამასთანავე, 2005 წლის თებერვალში, როცა ზურაბ ჟვანია მოკლეს, კიწმარიშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ტრიალებდა და მრავალ საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი. თუ ლევან ჩიტაძე მართალს ამბობს და კიწმარიშვილი ნამდვილად უნდა დაეკითხა პროკურატურას, შესაძლოა, ეროსი იმ ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა მოკლა, ვის წინააღმდეგაც, შესაძლოა, ჩვენება მიეცა. ეს ადამიანი, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილია, ადამიანთა ჯგუფი კი – „ნაცმოძრაობის" იმჟამინდელი გავლენიანი ლიდერები. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, მივდივართ ერთ დასკვნამდე – ეროსი კიწმარიშვილი თუ მართლა აპირებდა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შესახებ ჩვენების მიცემას, კონკრეტული ადამიანის მხილებას ამ დანაშაულში, შესაძლოა, სწორედ ამის საფუძველზე დააანონსა, 11 ივლისს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს დაიჭერენო. მოკლედ, მართლა დასაშვები ვერსიაა, რომ კიწმარიშვილი ჟვანიას მკვლელობის შესახებ ჩვენების მიცემას შეეწირა.

გუშინ გავრცელებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ის არის, ეროსი კიწმარიშვილს მანქანაში სდებია 20 000 დოლარი. ეს თანხა რუსთავის მერის არჩევნებში კიწმარიშვილის კამპანიის მონაწილეთათვის იყო განკუთვნილი. ფული ეროსის გია ხევიაშვილისთვის უნდა გადაეცა და ხალხისთვის მას უნდა დაერიგებინა. კიწმარიშვილმა დაურეკა ხევიაშვილს და ფულის წასაღებად დაიბარა. შემდეგ ხევიაშვილი ურეკავდა კიწმარიშვილს, მაგრამ ის ტელეფონს არ პასუხობდა. სავარაუდოდ, ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. შემდეგ ხევიაშვილი მივიდა კიწმარიშვილთან სახლში, რამდენჯერმე დარეკა ზარი და კარი არ გაუღეს. ამის შემდეგ, დაეჭვებული ხევიაშვილი 4 კაცთან ერთად ავტოფარეხში ჩავიდა, რათა გაერკვია, ფეხით წავიდა თუ მანქანით. კიწმარიშვილის ცხედარიც სწორედ მაშინ აღმოაჩინეს და პოლიციასაც მათ შეატყობინეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ 20 000 დოლარი მანქანაში აღარ იყო. ეს ფული არც სახლში აღმოჩნდა.



იმედია, მთავარი პროკურატურა აღარ გამოცდის ხალხის მოთმინებას და ამ დღეებში რაიმე კონკრეტულს იტყვის ამ საქმის შესახებ. თუნდაც, ექსპერტიზის სრული დასკვნა რომ გაასაჯაროოს, ამითაც ძალიან ბევრ საკითხს მოეფინება ნათელი

**რადგან ავტომობილის მარჯვენა სავარძელი სისხლის შხეფებით არის დასვრილი, მასზე არავინ იჯდა. ლოგიკურად, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელი გვერდით სავარძელში უნდა მჯდარიყო. ამ ვერსიას ის ამყარებს, რომ კიწმარიშვილს იარაღი საფეთქლის მიდამოებში მიბჯრით აქვს ნასროლი და თანაც, იარაღი ისე ძლიერად ჰქონდა მიდებული საფეთქელზე, რომ ლულის ნაჭდევიც კი ეტყობაო**

გუშინ ეროსი კიწმარიშვილის სიცოცხლეში გადაღებული ბოლო კადრები გავრცელდა. კერძოდ, 2014 წლის 15 ივლისს, 15:05 საათზე, ეროსი საკუთარი ბინიდან გამოდის, ლიფტს იძახებს და ქვემოთ ჩადის. ეს კადრები კიწმარიშვილის მეზობლის სათვალთვალო კამერამ ლიფტის ლოდინისას დააფიქსირა. ამ კადრებს ამჟამად პროკურატურა სწავლობს. აქ საინტერესო ის არის, რომ კიწმარიშვილი ლიფტთან მაისურით დგას, მანქანაში კი პიჯაკი ეცვა. ეს და კიდევ სხვა დეტალი, ზურაბ კიწმარიშვილისთვის კითხვის ნიშნებს აჩენს: „მე არ მინახავს ვიდეომასალა, მაგრამ ვნახე ვიდეოდან ამოჭრილი კადრი. ალბათ, ეს არის ჩასვლის მომენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ეს მხოლოდ ფოტოა, იქ არ ჩანს, ჩადის თუ ამოდის ეროსი, იქ მოძრაობა არ ჩანს, მაგრამ ვინც მაჩვენა, იმან მითხრა, რომ ვიდეომასალაში ჩასვლის მომენტი ჩანს. მას აცვია მოვარდისფრო მაისური, ამ კამერიდან ეს ფერი ჩანს. რაც შეეხება გარდაცვალების მომენტს, მას უკვე კოსტიუმი აცვია, ოღონდ მაისურიც საეჭვოა



**„კამერის მეშვეობით დადასტურდა, რომ გია ხევიაშვილი მართლა იყო ეროსი კიწმარიშვილთან. ზემოხსენებულმა სათვალთვალო ვიდეოკამერამ ის და მასთან ერთად მყოფი პირი, დაახლოებით 16:00 საათზე დააფიქსირა კიწმარიშვილის ბინის კართან"**

ჩემთვის, იმიტომ, რომ მოლურჯო, მუქი ფერისაა. იმ კადრში, კოსტიუმი არ აცვია, არც ხელში უჭირავს. თუ ეს უშუალოდ ავტოფარეხში ჩასვლის წინ არის გადაღებული და მანამდე სახლიდან გასული არ არის, დასაფიქრებელი მომენტია. პიჯაკის ვარიანტი კიდევ გასაგებია, შეიძლება მანქანაში ჩაიცვა, მაგრამ მაისურის ფერის მომენტი მაფიქრებს. შეიძლება, ის ვიდეო დროში უფრო ადრეა გაკეთებული, ვიდრე ავტოსადგომში ჩასვლა მოხდა", – აცხადებს ეროსი კიწმარიშვილის ძმა „ნეტგაზეტასთან" კომენტარში. თუმცა, „ნეტგაზეტამ" გაარკვია, რომ სათვალთვალო კამერა, რომელმაც ეროსი კიწმარიშვილის, სავარაუდოდ, უკანასკნელი გასვლა დააფიქსირა სახლიდან, ინფრაწითელი მოწყობილობაა და შესაძლოა, მან გამოსახულების რეალური ფერები არ აღბეჭდა.

ამავე კამერის მეშვეობით დადასტურდა, რომ გია ხევიაშვილი მართლა იყო ეროსი კიწმარიშვილთან. ზემოხსენებულმა სათვალთვალო ვიდეოკამერამ გია ხევიაშვილი და მასთან ერთად მყოფი პირი, რომელიც, ზურა კიწმარიშვილის ინფორმაციით, ასევე ეროსი კიწმარიშვილის საარჩევნო შტაბის წევრია, დაახლოებით 16:00 საათზე დააფიქსირა კიწმარიშვილის ბინის კართან. გამოდის, 16.00 საათამდე ეროსი კიწმარიშვილი უკვე მკვდარი იყო, რადგან ხევიაშვილი მას სწორედ მანამდე ურეკავდა და მის ზარებს ეროსი არ პასუხობდა.

გუშინ, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო გვიან ღამით დატოვეს მაია ნიკოლაიშვილმა და ზურა კიწმარიშვილმა. მათ ის იარაღი დაათვალიერეს, რომელიც შემთხვევის ადგილზე იქნა ნაპოვნი. როგორც მაია ნიკოლაიშვილმა განაცხადა, იარაღის დათვალიერებისას სისხლის კვალი არ აღმოჩნდა. იგი განმარტავს, რომ თვითმკვლელობის შემთხვევაში, უმეტესად, იარაღზე სისხლის კვალი აღინიშნებაო. თუმცა, ექსპერტი კატეგორიული არ არის და გამოკვლევის დასრულებას ელოდება, ვიდრე ყველა საჭოჭმანო კითხვას გასცემს პასუხს. რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის ავტომობილის დათვალიერებას, ნიკოლაიშვილის თქმით, მარჯვენა სავარძელზე სისხლის შხეფები აღინიშნებოდა, რაც ნიშნავს, რომ შემთხვევის დროს იქ არავინ იჯდა.

„ვიზუალურად, ლუპით და ულტრაიისფერ სხივებში იარაღზე სისხლის კვალი არ ჩანს, თუმცა აღებულია დნმ-ზე ანაწმენდები და უნდა დაველოდოთ გამოკვლევას. რაც შეეხება დენთის კვალს, ტანსაცმელზე დენთის კვალი არ არის, მაგრამ ხელის გულიდან აღებულია ანაწმენდები და ამაზეც გაკეთდება ლაბორატორიული გამოკვლევა. ყოველი კვლევა ახალ ინფორმაციას დაამატებს. დღეს დაემატა ის, რომ მარჯვენა სავარძელზე არავინ იჯდა, რადგან სავარძელზე სისხლის შხეფებია. თითის ანაბეჭდი იარაღზე ასევე ძალიან საინტერესოა. ყველაფერი დატოვებულია გამოკვლევაზე", – განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

მაია ნიკოლაიშვილის განცხადებამ, მკვლელობის ვერსიასაც გაუჩინა ერთი სერიოზული ხინჯი. ექსპერტის განცხადებით, რადგან ავტომობილის მარჯვენა სავარძელი სისხლის შხეფებით არის დასვრილი, მასზე არავინ იჯდა. ლოგიკურად, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელი გვერდით სავარძელში უნდა მჯდარიყო. ამ ვერსიას ის ამყარებს, რომ კიწმარიშვილს იარაღი საფეთქლის მიდამოებში მიბჯრით აქვს ნასროლი და თანაც, იარაღი ისე ძლიერად ჰქონდა მიდებული საფეთქელზე, რომ ლულის ნაჭდევიც კი ეტყობაო. კიწმარიშვილი საჭესთან, მარცხნივ იჯდა, მკვლელი კი, ლოგიკურად, მარჯვენა სავარძელში უნდა მჯდარიყო, რომ მიბრჯით სროლა მოეხერხებინა მარჯვენა საფეთქელში. მაია ნიკოლაიშვილის განმარტებამ კი ეს ვარიანტიც თავდაყირა დააყენა. ახლა ისაა გასარკვევი, ეს თუ ნამდვილად მკვლელობა იყო, მანქანაში რა ადგილას იჯდა მკვლელი. შესაძლოა, ის მანქანის უკანა სავარძელზე იჯდა და რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმ ქმედებებს უკნიდან განახორციელებდა მკვლელი. თეორიულად ყველაფერია შესაძლებელი, მკვლელი უკანა სავარძლიდანაც მოახერხებდა კიწმარიშვილისთვის მარჯვენა საფეთქელში მიბჯრით სროლას და, შესაბამისად, იარაღის ნაჭდევიც დარჩებოდა მსხვერპლს საფეთქელზე. თუმცა, ამის გაკეთება უკანა სავარძლიდან უფრო რთულია, გვერდითა სავარძლიდან კი უფრო მოსახერხებელია.

ვიდრე ექსპერტიზის საბოლოო პასუხები არ დაიდება, კიდევ მოგვიწევს ვერსიების აგება, რადგან ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეში, როგორც ხედავთ, იმაზე მეტი კითხვის ნიშანია, ვიდრე ველოდით. ეს მაია ნიკოლაიშვილის ბოლო განცხადებამაც დაადასტურა. იმედია, მთავარი პროკურატურა აღარ გამოცდის ხალხის მოთმინებას და ამ დღეებში რაიმე კონკრეტულს იტყვის ამ საქმის შესახებ. თუნდაც, ექსპერტიზის სრული დასკვნა რომ გაასაჯაროოს, ამითაც ძალიან ბევრ საკითხს მოეფინება ნათელი.

ეროსი კიწმარიშვილს კვირას, 20 ივლისს „რუსთავი 2"-ის შენობიდან გამოასვენებენ და, სავარაუდოდ, საბურთალოს პანთეონში დაკრძალავენ.

» **ლევან ჯავახიშვილი**

577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ის ხალხი იკლავდა თავს, ეროსიმ რომ შექმნა, ნეხვიდან ამოიყვანა და ისე უღალატეს როგორც უკანასკნელმა „პოდლეცებმა"



ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე ეროსი კიწმარიშვილის სიცოცხლის წლებს იხსენებს და აღნიშნავს, რომ როდესაც კიწმარიშვილს ტელეკომპანია „მაესტროზე" დავის დროს გვერდით დაუდგა, ბევრმა „მეგობარმა" მაშინ მას ზურგი აქცია.

„კაცო, ამ ჟურნალისტების ვერ გავიგე... თუ ასე გიყვარდათ ეს ეროსი კიწმარიშვილი და საფლავში ყვებით ახლა, მაშინ, რატო უღალატეთ და ტალახი ესროლეთ?.. ან მე რას მერჩოდით, ეროსის გვერდით რო დავდექი „მაესტროს" ამბების დროს, რას მაკრავდით ჯვარზე უკულმა? თქვენ გყვარებიათ და მე მაშინ ვამბობდი, ეროსი ქე ვიცი რაცაა მარა, ამ შემთხვევაში 100%-იანი მართალია და სიმართლის გვერდით ვდგევარ-თქო... გადავირიე უკვე რაა, ის ხალხი იკლავდა დღეს თავს, ქერო ეროსამ გააკეთა, შექმნა, ნეხვიდან ამოიყვანა და თავის შემქმნელს რო უღალატეს და თან ისე უღალატეს როგორც უკანასკნელმა „პოდლეცებმა"... მოკლედ, ამ ქვეყანაში „პადხალიმობას" და არაკაცობას საზღვარი არა აქვს რაა..." – წერს ფოფხაძე. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# როგორ გამოიყენებენ „ნაციონალები“ ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო გარდაცვალებას?



**ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებამ ყველა მოვლენა გადაფარა. ეს არის თემა, რაზეც ძალიან დიდხანს ისაუბრებენ.**

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— ბატონო მამუკა, რამდენიმე ვერსიამ გაიჟღერა, რა იცით კიწმარიშვილის ბურუსით მოცულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით? როგორ ფიქრობთ, ეს არის მკვლელობა თუ თვითმკვლელობა. რა ინფორმაციას ფლობთ?**

– რამდენიმე ვერსიამ გაიჟღერა, ოპოზიცია ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს, ბევრი ადამიანი საუბრობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აწყობდა ამის გაკეთება, მესამე არის ტრივიალური თვითმკვლელობა, გარკვეული საყოფაცხოვრებო, თუ პირადი ამბების გამო. მოდით, ამ საკითხს ასე შევხედოთ, ყველა ამ ვერსიას აქვს თავის დიდი მინუსები. ერთ-ერთ უცხოურ გამოცემაში წავიკითხე, რომ ეროსი კიწმარიშვილი იყო მედიამაგნატი. აი, ასე მოხდა მისი პრეზენტირება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ დღეს ეს სიმართლეს არ შეესაბამება და ამ ეტაპზე ის არ იყო მედიამაგნატი. რასაკვირველია, ეროსი კიწმარიშვილი მედიამენეჯმენტობის თვალსაზრისით ერთ-ერთი მსხვილი ფიგურა იყო, მაგრამ წარსულში. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებისთვის ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილი, ეს არის გამორიცხული. რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, მოდით, დავსვათ კითხვა, რაში უნდა აწყობდეთ კიწმარიშვილის მკვლელობა მათ? აქ არის ასეთი პასუხი, – შეიძლება „ნაცმოძრაობას“ იმისთვის დასჭირვებოდა ეროსის სიკვდილი, რომ მან ძალიან ბევრი ინფორმაცია იცოდა და როგორც ჩანს, რაღაცებ-ის ლაპარაკი დაიწყო. ყოველ შემთხვევაში მისი მემუარები ამაზე მეტყველებს. დარჩა მესამე ვერსია, თითქოს საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოიკლა თავი. ესეც შეიძლება ყოფილიყო. ეროსის იმის ნიჭიც ჰქონდა, რომ ცარიელ ადგილზე მტრები გაეჩინა. მას ჰქონდა უამრავი სასამართლო პროცესიც, არ არის გამორიცხული, რომ ესეც ყოფილიყო მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის მიზეზი. საბოლოო ჯამში, ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა, – ვის უნდა აწყობდეს კიწმარიშვილის სიკვდილი და კვალი აუცილებლად უნდა გამოჩნდეს. არ არის საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მივიდეთ ლოგიკურ დასკვნამდე.

ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მან შეიძინა 15 ივლისს იარაღი. ჩემთვის არ არის დამაჯერებელი ის ვერსია, რომ ეროსი კიწმარიშვილმა ეს იარაღი თავისი ძმისთვის შეიძინა. თუკი საკუთარი ძმისთვის აკეთებდა ამ საჩუქარს, საკუთარ თავზე კი არ გაიფორმებდა იარაღს, მის ძმას გადაუფორმებდა. იარაღის შეძენა მე მაინც მაფიქრებინებს, რომ წინა დღეებში მოხდა რაღაც ამბავი, რამაც ის აიძულა, უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები მიეღო. ჩემთვის ასევე საინტერესოა, რატომ არ იმყოფებოდა მანქანაში მისი პირადი დაცვა, დაცვის საქმე ხომ ის არის, მუდმივად მის გვერდით იმყოფებოდეს.

**— თქვენ დანამდვილებით იცით, რომ ეროსი კიწმარიშვილს პირადი დაცვა ჰყავდა? ბევრი წყარო ამტკიცებს, რომ კიწმარიშვილი დაცვით არ დადიოდა...**

– შეიძლება ვცდები, მაგრამ მე ასეთი ინფორმაცია მომაწოდეს, რომ მას პირადი დაცვა ნამდვილად ჰყავდა. გარდა ამისა, ბოლო დღეებში გადაღებული რამდენიმე კადრი ვნახე, სადაც ეროსი საჭესთან არ ზის, ის იჯდა მძღოლის გვერდით. მე არ ვიცი, ამ შემთხვევაში ის იყო პირადი დაცვა თუ მძღოლი, მაგრამ ჩემი ინფორმაციით ის პირადი დაცვით დადიოდა. თუ გახსოვთ, პირველივე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავტოფარეხის დაცვამ დაურეკა ეროსი კიწმარიშვილის პირად დაცვას, რომელმაც შეატყობინა კიწმარიშვილის საზარელი სიკვდილის შესახებ.

დეტალურად ამ საკითხს ვერ ჩავუღრმავდები, რადგან ეს გამოძიების პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, ვცდილობ, დავადგინო ის ჯგუფები, თუ რომელი ჯგუფის ინტერესში შედიოდა მისი სიკვდილი. შეიძლება ასეთი ბევრი ჯგუფი იყოს, როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური და ბიზნესჯგუფი. სხვათა შორის, კიწმარიშვილის ბოლო ინტერვიუში არის ერთი საინტერესო პასაჟი, – აქიმიძის ჯგუფი გაიმარჯვებს თუ ქიბარ ხალვაში, მაინც მე ვარ „რუსთავი 2“-ის პატრონიო. რაღაცნაირად ეს თემა ურთიერთკავშირშია, როგორც ჩანს, რაღაცა ტიპის მუქარები მისი მისამართით იყო, მაგრამ ვერავის დაადებ ხელს და მის სიკვდილს ვერავის დააბრალებ. ასე რომ, ერთადერთი, ვისაც კიწმარიშვილის სიკვდილი არ აწყობდა, ეს არის ხელისუფლება. კიწმარიშვილი იმ დონის ფიგურა არ იყო, რომ შეძლებოდა ხელისუფლებისთვის პრობლემის შექმნა.

**— ცნობილი აქსიომაა, რომ პოლიტიკაში დიდ საქმეებს ყოველთვის დიდი მსხვერპლი მოჰყვება. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაინტერესებულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა დაგეგმა მისი მკვლელობა, რითაც გადაარჩინა „რუსთავი 2“. „რუსთავი 2“-ის დანგრევის შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც პოლიტიკური ძალა, განადგურდებოდა.**

– თქვენი შეკითხვიდან საინტერესო ლოგიკა იკვეთება, ხელისუფლებას „რუსთავი 2“-ის ხელში ჩაგდება უნდოდა, ფიზიკურად ლიკვიდირებული იქნა ადამიანი, რომელსაც „რუსთავი 2“-ზე ჰქონდა გავლენა. ეროსი კიწმარიშვილი უკვე პრეზენტირებულია დასავლეთში, როგორც მედიამაგნატი, რომელიც გარდაცვლილი იპოვეს, აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობას“ შეუძლია ააგოროს ახალი სკანდალი, რომ ხელისუფლება ხელში იგდებდა „რუსთავი 2“-ს, მაგიტომ მოიშორა ეროსი კიწმარიშვილიო.

**— ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილმა გადაფარა ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა, საქართველოში ვანო მერაბიშვილის პროცესზე ჩამოსული იყო უკრაინის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც იანუკოვიჩის რეჟიმს დაპატიმრებული ჰყავდა. მან საინტერესო მესიჯები გააჟღერა, რომ იგი ბოლომდე გვერდით დაუდგება ვანო**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*




**„საინტერესო ლოგიკა იკვეთება, ხელისუფლებას „რუსთავი 2“-ის ხელში ჩაგდება უნდოდა, ფიზიკურად ლიკვიდირებული იქნა ადამიანი, რომელსაც „რუსთავი 2“-ზე ჰქონდა გავლენა. ეროსი კიწმარიშვილი უკვე პრეზენტირებულია დასავლეთში როგორც მედიამაგნატი, რომელიც გარდაცვლილი იპოვეს, აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობას“ შეუძლია ააგოროს ახალი სკანდალი, რომ ხელისუფლება ხელში იგდებდა „რუსთავი 2“-ს, მაგიტომ მოიშორა ეროსი კიწმარიშვილიო“**

**„დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ არის ჩასაფრებულის პოზიციაში და ხელისუფლების ყველა შეცდომას გამოიყენებს, „ნაცმოძრაობა“ ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ ხალხს ძალიან კარგად ახსოვთ მათი დანაშაულები, აქედან გამომდინარე, ისინი შეეცდებიან, დრო გაიყვანონ, რათა ხელისუფლებამ უფრო მეტი შეცდომა დაუშვას, რაც მათ დანაშაულებს გადაფარავს“**

## გაზეთ „ალიას“

**გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი შემდეგი განცხადება:**

„2014 წლის 16 ივლისს გაზეთ „ალიას“ №108-ში გამოქვეყნდა სააგენტო „ფრონტნიუსის“ ინფორმაცია, სათაურით „თურქმა ბიზნესმენმა ჩხარტიშვილის წინააღმდეგ მოქმედების თხოვნით თურქეთს მიმართ“.

სათაურში გამოტანილი ფრაზა და ასევე, განცხადება, რომ „ომერ სარი უკვე რამდენიმე წელია, ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილისგან 3 მილიონი დოლარის დაბრუნებას მოითხოვს“ და „ერთი თვის წინ მას სტამბულში მის ოფისში ეწვია მისი წარმომადგენელი ლევან ჯღარკავა“, თურქ ბიზნესმენ ომერ სარის ამ/და მის წარმომადგენელს მამუკა კაკუშაძეს არ ეკუთვნის. ჩვენ განვაცხადეთ, რომ სტამბულში ოფისში გვეწვია ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელი რატი ღვამბერია. ასევე, ჩვენ თანხებს (რომელიც 3 მილიონი აშშ დოლარს აღემატება) ვედავებით კომპანიების („პრომეტკო ჯორჯია“ და „ჯე-ეს-კო“) დირექტორს ლევან ჯღარკავას, რომელიც მან, როგორც ის აცხადებს, კომპანიების არადანიშნულებისამებრ გაიტანა და გახარჯა ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებული კომპანიის „სონატა ალიანს ჯორჯიას“ ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა მითითებით და გამოძიებას ვითხოვ, დაადგინოს, სად წავიდა ეს თანხები და დაკითხოს ლევან ჯღარკავა, რატი ღვამბერია, ბაია შავიშვილი და ივანე ჩხარტიშვილი“.

**პატივისცემით,**
**მამუკა კაკუშაძე**
**ომერ სარის წარმომადგენელი**
**17 ივლისი 2014 წელი.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ადა მარშანიამ საკრებულოს სადეპუტატო მანდატზე უარი თქვა




აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ და მისმა მოადგილეებმა, სპეციალური განცხადება გააკეთეს, რომლის თანახმად, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ადა მარშანია, საკრებულოს მანდატზე უარს ამბობს.

„ვინაიდან, კანონის შესაბამისად, შეუძლებელია ერთდროულად ორ საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობა, ადამ არშანიამ, არჩევანი, აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს სასარგებლოდ გააკეთა და უარი თქვა ქ. თბილისის საკრებულოს სადეპუტატო მანდატზე. ჩვენ, ფრაქციის წევრები, ამაყნი ვართ, რომ ჩვენი კოლეგის, ქალბატონი ადასთვის, უზენაესია აფხაზეთის პრობლემების მოგვარება და დევნილ თანამემამულეთა გვერდით დგომა!“ – ნათქვამია განცხადებაში.

დეპუტატების განმარტებით, მარშანიამ, კენჭი მხოლოდ იმიტომ იყარა, რომ წინასაარჩევნო პროცესზე დევნილი მოსახლეობის პრობლემები წამოეწია. (რეპორტიორი)

*მეხუთე გვერდიდან*

**მერაბიშვილს, სტრასბურგამდე მივა და ციხიდან დაიხსნის. მან საინტერესო პარალელი გაავლო, მოსამართლეს, რომელმაც მე ციხეში გამიშვა, 4 წელი მიუსაჯესო. უკრაინის ხელისუფლება შეიცვალა, ასე იქნება ვანო მერაბიშვილის შემთხვევაშიცო. ფაქტია, რომ „ნაცმოძრაობა“ დიდი მსხვერპლის ფასად აამუშავებს გეგმას „დაბრუნება 2016“...**

– უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი დღეს არ არის ხელისუფლებაში და რასაც უნდა იმას იტყვის. გარდა ამისა, მე ძალიან კარგად ვიცი მიხეილ სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებს რა გავლენა აქვთ უკრაინის ხელისუფლების ერთ ნაწილში, კერძოდ კი „მაიდანის“ პუბლიკის ნაწილში. მე არ ვთვლი, რომ უკრაინის ხელისუფლების პოზიციაა ლუცენკოს პოზიცია. საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, ყველაფერს ვერ ვიტყვი, რადგან ამ გაზეთს მტერიც კითხულობს. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ „ნაციონალებისა“ და უკრაინის ხელისუფლების კონტაქტზე, ის მაინც აღიქმება საქართველოსა და უკრაინის კონტაქტად. ამიტომ ბევრ რამეს დღეს ვერ ვიტყვი, რაც შეეხება „თბილისური მაიდანის“ მოწყობას, რომელიც „ნაციონალებმა“ თავის დროზე დაგვიანონსეს. ის რომ, გარკვეული მოქმედებები ამ მიმართულებით ხორციელდება, ეს ჩანს. არ ვიცი, ხელისუფლება რას ხედავს, მაგრამ ფაქტია, საზოგადოება ამას გრძნობს და ხედავს კიდეც. ამას წინათ გია ვოლსკის განცხადება იყო, რომ შემოდგომაზე „ნაციონალურმა მოძრაობა“ ახალ ღონისძიებებს გეგმავს. ჩვენ გვაქვს ასეთი სურათი, ერთ მხარეს არის უაღრესად მობილიზებული „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ქმნის სპეციალურ ჯგუფებს, სტუდენტების ჯგუფები იქნება ეს, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ იქნება. დღეს ყველაზე აქტიურები არიან პრონაციონალური არასამთავრობო ორგანიზაციები, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი. ასევე ჩვენ ვხედავთ, როგორ ხდება ახალგაზრდა ჯგუფების კონსოლიდაცია და მათი ტრენინგები. პარალელურად მიდის ძალიან საინტერესო კამპანია საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებების დისკრედიტაციის. ეს ხდება სხვადასხვა ფორმით, მაგალითად ავიღოთ ირაკლი ბათიაშვილის თემა, როცა მასზე ბაჩანა ახალაიამ თქვა, რომ ციხეში ფეხზე დადგომით მიშა სააკაშვილის სადღეგრძელოებს სვამდაო. ჩემს შემთხვევაშიც მოხდა ასეთი რამ და ასევე სხვების შემთხვევაშიც, რასაც აღარ ჩამოვთვლი. მიკვირს კიდეც, პირდაპირი ბმა საკითხისადმი არ არის, მაგრამ ეს ახდენს ძალიან დიდ შთაბეჭდილებას საზოგადოებაზე. ასე რომ, სტრატეგია გააზრებულად და ძალიან კარგად მოფიქრებულია, თუმცა ამის კონტრსტრატეგიას ქვეყანაში ვერ ვხედავ. როცა ასეთი კონსოლიდირებული ძალა არსებობს, ხელისუფლებამ სხვანაირად უნდა იმოქმედოს, რადგან „ნაციონალების“ სახით ეს არის კედელზე ჩამოკიდებული თოფი, რომელიც აუცილებლად გაისვრის. მე არ ვიცი „თბილისური მაიდანი“ ამ შემოდგომაზე მოხდება თუ მომდევნო შემოდგომაზე, მაგრამ ის, რომ აუცილებლად მოხდება, ამის თქმა დანამდვილებით შემიძლია.

> **„ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისთვის აღმოჩენა იყო ის, რა გააკეთეს თვითონ. ეს არის ამ ხელისუფლების უბედურება, რომ ვერაფრით ვერ მიიტანა საზოგადოებამდე ის, რასაც აკეთებენ და ამის ნაცვლად ერთმანეთთან კინკლაობით არიან დაკავებული. მე ზუსტად ვიცი, რომ ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმასაც ვერ ახერხებენ, რომ საზოგადოებამდე სწორად მიიტანონ“**



> **„ეროსის იმის ნიჭიც ჰქონდა, რომ ცარიელ ადგილზე მტრები გაეჩინა. მას ჰქონდა უამრავი სასამართლო პროცესიც, არ არის გამორიცხული, რომ ესეც ყოფილიყო მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის მიზეზი“**



> **„შეაგროვებენ კომპრომატებს, დაელოდებიან, ხელისუფლება რა შეცდომებს დაუშვებს და შემდგომ დაარტყამენ. ვიდრე არსებობს ისეთი ორგანიზატორი, როგორიც არის გიგა ბოკერია, ჩათვალეთ, რომ ეს პროცესი გეგმიურად მიდის“**

ევროწარმომადგენლების ასეთი კატეგორიული განცხადებები გიგი უგულავას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, აი, ამ კონტექსტში ზის. ჩვენ კონტაქტი გვაქვს ამერიკულ დიასპორასთან და ისინი განგაშით გვეუბნებიან, რომ აქ „ქართული ოცნება“ 1-ელ ოქტომბერს დამთავრდა, მას შემდეგ მუშაობენ მხოლოდ „ნაციონალები“ ძალიან აქტიურად. მინდა გითხრათ, რომ 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის „ნაციონალების“ მარცხი ბევრად რეზონანსული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიდრე საქართველოში. ეს იყო ამერიკული პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის მთავარი ნიშანი, რომ დასრულდა „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ ეს სიტუაცია დღეს შეცვლილია. ასე რომ, შენს კითხვაზე ასე ვუპასუხებ, – „თბილისური მაიდანისთვის“ მომზადება მიდის, არ არის გამორიცხული, რომ ეს გათვალისწინებულია 2016 წლის გაზაფხულისთვის.

დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ არის ჩასაფრებულის პოზიციაში და ხელისუფლების ყველა შეცდომას გამოიყენებს, „ნაცმოძრაობა“ ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ ხალხს ძალიან კარგად ახსოვს მათი დანაშაულები, აქედან გამომდინარე ისინი შეეცდებიან, დრო გაიყვანონ, რათა ხელისუფლებამ უფრო მეტი შეცდომა დაუშვას, რაც მათ დანაშაულებს გადაფარავს, ამის შემდეგ დაიწყებენ ისინი აქტივობას.

თუ ასეთი ტემპით წავიდა ქვეყანაში გარდაქმნები, უფრო გამძაფრდება ხალხის აგრესია, უფრო გამწვავდება რიტორიკა, რასაც დღეს ხალხი ამბობს, – კი, „ნაციონალები“ ცუდები იყვნენ, მაგრამ მაშინ რაღაცა მაინც შენდებოდა. მე, მაგალითად, ხელთ ჩამივარდა „ოცნების“ ბუკლეტი, სადაც ჩამოთვლილია მათ მიერ გაკეთებული საქმეების ნუსხა. ამ ერთი ბუკლეტის გარდა, სადმე ვინმემ ეს ამბავი იცის? მე მგონი, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისთვის აღმოჩენა იყო ის, რა გააკეთეს თვითონ. ეს არის ამ ხელისუფლების უბედურება, რომ ვერაფრით ვერ მიიტანა საზოგადოებამდე ის, რასაც აკეთებენ და ამის ნაცვლად ერთმანეთთან კინკლაობით არიან დაკავებული. მე ზუსტად ვიცი, რომ ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმასაც ვერ ახერხებენ, რომ საზოგადოებამდე სწორად მიიტანონ. ამ ყველაფერს კი მათი მოწინააღმდეგე იყენებს. მე გეტყვით, რომ ამ შემოდგომაზე „თბილისური მაიდანს“ არ ველოდები, რადგან ისინი მზად არ არიან, თუმცა ველოდები, რომ შეაგროვებენ კომპრომატებს, დაელოდებიან, ხელისუფლება რა შეცდომებს დაუშვებს და შემდგომ დაარტყამს. ვიდრე არსებობს ისეთი ორგანიზატორი, როგორიც არის გიგა ბოკერია, ჩათვალეთ, რომ ეს პროცესი გეგმიურად მიდის.

> **„თუ ასეთი ტემპით წავიდა ქვეყანაში გარდაქმნები, უფრო გამძაფრდება ხალხის აგრესია, უფრო გამწვავდება რიტორიკა, რასაც დღეს ხალხი ამბობს, – კი, „ნაციონალები“ ცუდები იყვნენ, მაგრამ მაშინ რაღაცა მაინც შენდებოდა“**

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მივმართავ დედა ეკლესიასა და ხელისუფლებას...“



არასამთავრობო ორგანიზაციის „მამული, ენა, სარწმუნოება“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი სოციალური ქსელის მეშვეობით მოახლოებულ კაზანტიპის ფესტივალს აფასებს და აღნიშნავს, რომ მსგავსი ფესტივალები ახალგაზრდების გარყვნას ემსახურება.

„სად ხართ ქვეყანაზე და ეკლესიაზე შეყვარებული სახელმწიფო მოხელეებო??? ოპოზიციაში ყოფნისას ამ თემას ყიჟინით აიტაცებდით (მე რომ ვიცი თქვენი ხასიათი). მივმართავ დედა ეკლესიას და ხელისუფლებას – 2010 წლის ზაფხულში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აჭარის ტერიტორიაზე ერთ-ერთ კლუბში უნდა გამართულიყო გეი ფართი და გახსოვთ ამას როგორი რეაქცია მოჰყვა (მთელი საქართველოდან ჩავიდა სამღვდელოება და მოსახლეობა ბათუმში, რათა გაეპროტესტებინა გარყვნილების პროპაგანდა), ეს ყველაფერი სააკაშვილის პირობებში... რა ხდება დღეს – აგერ „კაზანტიპი“ იმართება, სახელმწიფო მოხელეები ამას ჩვეულებრივ და დემაგოგიურად უდგებიან, ხოლო ეკლესია და სამღვდელოების უდიდესი ნაწილი ხმას არ იღებს!!! მე მიჩნდება ლოგიკური კითხვა მღვდლებისადმი – რა ღირს თქვენი სიჩუმე??? მივმართავ პარლამენტარ თავგამოდებულ მამულიშვილ ეროვნულად მოაზროვნეებს (ქალბატონებსაც და მამაკაცებსაც), ერთ დროს თქვენ ამას აპროტესტებდით ეხლა რა გჭირთ??? „კაზანტიპი“ აერთიანებს ღრეობას, მამათმავლობას, ლესბოსელობას, სექსუალურ ორგიებს, ნარკოტიკს, რაც თავის მხრივ გარყვნილების პროპაგანდად ფასდება!!!“ – წერს სადღობელაშვილი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თავდაცვის სამინისტრომ გიორგი ანწუხელიძის დედას 10 000 ლარი გადასცა



აღნიშნული თანხის გამოყენება ლილი ანწუხელიძეს საჭიროების შესაბამისად შეუძლია. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ ანწუხელიძის ოჯახს სტიქიამ სახლი დაუზიანა, რის შემდეგაც სამინისტროში მათთვის თანხის გადარიცხვის გადაწყვეტილება მიიღეს. (რეპორტიორი)



## ხანძრის შედეგად 9-სულიანი ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა

ლისის ტბის დასახლებაში ხანძრის შედეგად 9-სულიანი ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა. ცეცხლმა 120 კვადრატული მეტრის ფართობის შენობა მთლიანად გაანადგურა. დაზარალებული ოჯახი გამგეობას დახმარებას სთხოვს.

ადგილობრივების განცხადებით, ლისის ტბის დასახლებაში სასმელი წყლის პრობლემაა, რის გამოც ადგილობრივებმა ცეცხლის თავად ჩაქრობა ვერ მოახერხეს.

„ცხრასულიანი ოჯახი დავრჩით ღია ცის ქვეშ. მარტო ის ტანსაცმელი დაგვრჩა, რაც გვაცვია, ყველაფერი დაგვეწვა – ავეჯი, ტანსაცმელი, ლოგინი, ლეიბი, საბანი და ა.შ. ვიდრე მეუღლემ რამე გარეთ გამოიტანა, კვამლი ჩაყლაპა და სასწრაფომ საავადმყოფოში წაიყვანა“, – განაცხადა დაზარალებულმა ივანის დალივალოვმა. (რეპორტიორი)

# საკითხები, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშში არ მოხვდა



17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა პარლამენტში 2013 წლის ანგარიში წარადგინა, რომლის განხილვაც მომავალი კვირიდან დაიწყება. ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული შემდეგ საკითხებზე (რამდენიმე ამონარიდი სახალხო დამცველის ანგარიშიდან):

„მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ნებისა და გატარებული რეფორმების წყალობით, პატიმართა წამება და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მთავარ გამოწვევას აღარ წარმოადგენს, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდადებულთა ათასობით საჩივარი კვლავ გამოძიების რეჟიმშია, შედეგი ადამიანის უფლებათა ამ სისტემური დარღვევის ფაქტებზე არ დამდგარა... კვლავ გრძელდება გამოძიება 2012 წლის 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი დაზარალებული ოჯახების, დაინტერესებული პირებისა თუ ფართო საზოგადოებისთვის... წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება შეფასდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის საგანს. თუმცა, მეორე მხრივ, მთელი სიმწვავით წამოიწია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობის აქტიურმა გამოვლინებამ, რასაც ცალკეულ შემთხვევებში, ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია... 2013 წელს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სასამართლოებში აღდგა ფოტო, ვიდეო და აუდიოგადაღების შესაძლებლობა... მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური ნაბიჯებისა, საქართველოს პარლამენტმა ძალაში დატოვა მოწმეთა დაკითხვის დროებითი წესი, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების ერთ-ერთ მთავარ დადებით მხარედ სწორედ მოწმეთა სასამართლოში დაკითხვა ითვლებოდა... კანონდარღვევად ფასდება 2013 წლის ივნისში მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა დაკავება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, აღნიშნულ ფაქტზე აუცილებელია გამოძიების ჩატარება. კანონის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის შესახებ ლეგიტიმური კითხვები რჩება ასევე, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“, რაც გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას საჭიროებს... პროკურატურაში 20 ათასზე მეტი განცხადება იყო შესული წარსულში მომხდარი სამართალდარღვევების გამოძიების მოთხოვნით. არაერთი ყოფილი თანამდებობის პირი, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ივანე მერაბიშვილი იყო დაპატიმრებული სხვადასხვა ბრალდებით. გაჩნდა კითხვები შერჩევითი სამართლის შესაძლო გამოყენებისა და იმის შესახებაც, რატომ ინტერესდებოდა გამოძიება სწორედ ყოფილი თანამდებობის პირების საქმეებით. შეიქმნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა სპეციალური სადამკვირვებლო მისია, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებს სწავლობს... კვლავ პრობლემურია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. ერთ-ერთ ასეთ საკითხად რჩება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციებისა და სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კომპეტენცია და უფლებამოსილებები... სახალხო დამცველის აზრით, ასევე გამოსაძიებელია საკნიდან ვანო მერაბიშვილის გაყვანის ფაქტიც, რაც უკავშირდება ყოფილ მთავარ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს“.



„სახალხო დამცველის დარტყმის ობიექტი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო ბაზა, რამაც ქვეყანაში გამოიწვია კატაკლიზმები. თუნდაც შეკრებითობის პრინციპი ავიღოთ...“

ძალიან რთულია ანგარიშიდან ყველა პრობლემის ამოღება (ეს, რა თქმა უნდა, დროსაც ითხოვს და საგაზეთო ფართსაც), მაგრამ ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ვამახვილებთ ყურადღებას. საინტერესოა, რაზე უნდა გაემახვილებინა ნანუაშვილს კიდევ ყურადღება, რაც ანგარიშში არ მოხვდა?

**„ალიას“ ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა:**

– როდესაც ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, გასაგებად თქვა, სასამართლოებს ნუ გადატვირთავთ, თქვენ თვითონ მოილაპარაკეთ და ქონება დააბრუნეთო. ამან რამდენიმე თვე იმუშავა, ვისაც ქონება წაართვეს, შეეცადა, მოლაპარაკებაზე წასულიყო, მაგრამ „ნაციონალები“ მიხვდნენ, ისედაც არავინ გვიტევს, ისედაც არავინ გვიჭერს და რატომ უნდა დავაბრუნოთო? ამას მოჰყვა ქუჩაში ცემა-ტყეპა, ზოგიერთი მაგრად სცემეს, ზოგიერთი ციხეში წავიდა. კი, მაგრამ ეს რატომ გამორჩა სახალხო დამცველს? რომ იძახის, 20 ათასი საქმეა გამოსაძიებელიო, მიზეზებიც ხომ უნდა ახსნას? მოდი, ვთქვათ სიმართლე, დღეს პროკურატურის მთელ სისტემაში მუშაობს 800 კაცი, ახლა როგორ წარმოგიდგენია 20 ათასი საქმის შესწავლა? მერე, ზოგიერთი ისეთი განცხადებაა, შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში ვიღაცას ძროხა მოჰპარეს და ითხოვს გამოძიებას. გულითაც რომ გინდოდეს სამართლიანობის აღდგენა, საამისოდ მტკიცებულებასაც კი ვერ მოიპოვებ. სახალხო დამცველი რატომ არ ლაპარაკობს ზურაბ ადეიშვილის მიერ მიღებულ კანონებზე, რომლის მიხედვითაც დაზარალებული დაკნინებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული?

— **რას გულისხმობ?**

– დავუშვათ, პროკურორი იცავს დაზარალებულის ინტერესებს და საქმე წააგო, ამ შემთხვევაში, თუ პროკურორმა არ გაასაჩივრა, დაზ-

**„როდესაც ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, გასაგებად თქვა, სასამართლოებს ნუ გადატვირთავთ, თქვენ თვითონ მოილაპარაკეთ და ქონება დააბრუნეთო. ამან რამდენიმე თვე იმუშავა, ვისაც ქონება წაართვეს, შეეცადა, მოლაპარაკებაზე წასულიყო, მაგრამ „ნაციონალები“ მიხვდნენ, ისედაც არავინ გვიტევს, ისედაც არავინ გვიჭერს და რატომ უნდა დავაბრუნოთო?“**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ზედამხედველობის ფუნქცია ასოცირების დღის წესრიგშია შესული“



შს მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განცხადებით, შსს-ზე ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელების ინსტიტუციურად ჩამოყალიბებას დაახლოებით სამი წელი დასჭირდება

„რაც შეეხება ზედამხედველობის ფუნქციას, ეს გათვალისწინებულია ასოცირების დღის წესრიგში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ვალდებულებას მხარი დავუჭირეთ და ამ სამ წელიწადში შეიძლება, უფრო მოკლე პერიოდში, შესაძლებელი იქნება სამართალდამცველთა მოქმედების გარე კონტროლის მექანიზმების, მათ შორის ზედამხედველობის მექანიზმის ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბება. უკვე დაიწყო სამუშაო ჯგუფის შექმნა და ამ ვალდებულებების შესრულებაზე საჯაროდ გეცნობებათ.

იზორიამ სისტემის დეპოლიტიზებასთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ უწყებამ ამ კუთხით წარმატებას მიაღწია:

„ჩვენ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. ამერიკელი და ევროპელი კოლეგების რეკომენდაციით გამოვეცით მინისტრის ბრძანება, რომელიც არჩევნების პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციას განსაზღვრავს, სადაც მკაცრად არის გაწერილი, რა უფლებები და ვალდებულებები აქვთ მათ და ეს სწორედ ამ მიმართულებით (სისტემის დეპოლიტიზების კუთხით) გადადგმული ნაბიჯია“, – განმარტა იზორიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვანო მერაბიშვილი ამ დროისთვის ადეკვატურად იქცევა



სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, სადაც შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის გაუარესებაზეა საუბარი. მისი თქმით, ამ მომენტისთვის მერაბიშვილი ადეკვატურად იქცევა. როგორც თალაკვაძე აცხადებს, ჩივილების დროს ექსმინისტრი ექიმს მიმართავს, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუდმივად ხელმისაწვდომია.

„ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იცავს კანონი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ის ადეკვატურად იქცევა. როცა ჩივილები აქვს, მიმართავს ექიმს, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუდმივად ხელმისაწვდომია. თვეების წინ მას კომპლექსური, ძალიან მაღალი სტანდარტის გამოკვლევები ჩაუტარდა. რაც შეეხება მის მდგომარეობას, ამ მომენტისთვის ის ადეკვატურად იქცევა“, – განაცხადა თალაკვაძემ. (ნიუპოსტი)



## გოგა ონიანი მის მიმართ განხორციელებულ მუქარაზე საუბრობს

მისი თქმით, 16 ივლისს, ე.წ. კანონიერ ქურდ რომან ბარბაქაძეზე გაკეთებული განცხადების შემდეგ, მას ღია ნომრით დაუკავშირდნენ.

„ჩემს კუთვნილს მობილურ ტელეფონზე ღია მობილური ნომრიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ გიგა ბოკერია, აკაკი მინაშვილი და გოგა ონიანი არასწორად იქცევიან, რის გამოც დაგვხვდებიან სადარბაზოსთან და ფიზიკურად გაგვისწორდებიან“, – განაცხადა ონიანმა. ადვოკატმა რეაგირებისთვის შესაბამის უწყებას უკვე მიმართა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

არალებულს ამის უფლება არ აქვს, წარმოგიდგენია? არაერთხელ ვთქვი, შეიტანეთ ცვლილებები და სიტუაციაც შეიცვლება-მეთქი, ეს უნდა გააკეთოს პარლამენტმა, რომელსაც ახლა მოუწევს ამის გაკეთება ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე. თვითონ კანონმდებლობაა იმდენად დამახინჯებული, სასამართლოში ლოპოტას საქმე კი არა, რაც გინდა შეიტანო, არ იცი, იქიდან რა გამოვა. სახალხო დამცველის დარტყმის ობიექტი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო ბაზა, რამაც ქვეყანაში კატაკლიზმები გამოიწვია. თუნდაც შეკრებითობის პრინციპი ავიღოთ, ადამიანს ჯართი ჰქონდა მოპარული და ისე „გაუჩალიჩეს", 14 წელი მისცეს. ახლა ეს გაუქმდა, მაგრამ გადავვარდით მეორე უკიდურესობაში, 15 კაცი რომ მოკლა, ერთი კაცის მკვლელობაზე მიდიხარ ციხეში. ამიტომ პარლამენტმა უნდა დაარეგულიროს ეს საკითხი და ხმა ამოიღოს ნანუაშვილმაც. სახალხო დამცველმა მხოლოდ ფაქტები კი არ უნდა აღნუსხოს, ამ ფაქტების გამომწვევ მიზეზებზეც უნდა მიანიშნოს.

— **ანგარიშში არ არის გამახვილებული ყურადღება ბიზნესზე.**

– არ არის გამახვილებული და ეს თვალშისაცემია. ადამიანებმა მთელი ცხოვრება დაკარგეს, მთელი ქონება დაკარგეს და ამ დროს სახალხო დამცველი წუხს, ვანო მერაბიშვილი რატომ გაიყვანეს საკნიდანო? ამ დროს ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ პრესკონფერენციებს, დაზარალებული ბიზნესმენები გამოდიან და ჰყვებიან, როგორ დაატერორეს თავის დროზე.

— **სახალხო დამცველი ასევე არაფერს ამბობს სასამართლოზე, სადაც მიკერძოებული გადაწყვეტილებები გამოაქვთ. თუმცა გახარებულია, რომ ვიდეო და აუდიოგადაღება დაუშვეს.**

– დიახ, მას აუცილებლად უნდა გაეკეთებინა სასამართლოს შესახებ დასკვნები. ყოველ შემთხვევაში ის მაინც უნდა დაეფიქსირებინა, რომ დღეს ათასობით მოქალაქე პრეტენზიებს გამოთქვამს სასამართლოს მისამართით. კი, შეიძლება ზოგიერთი პრეტენზია უმართებულოა, ვინც გამტყუნდება, ყველა უკმაყოფილოა, მაგრამ როცა საქმე უკვე გლობალურ მოვლენასთან გვაქვს, ხომ უნდა დაფიქრდე? ვიდეო და აუდიოგადაღებას მივესალმებით, ეს კარგია, მაგრამ შიგნით რა ხდება, ამან არ დაგაინტერესა? ამ საკითხის უყურადღებოდ დატოვება არ არის კარგი ტენდენცია.

— **ვანოს ერთ გაყვანას უფრო მეტი ადგილი უკავია ანგარიშში, ვიდრე 20 ათას დაზარალებულს.**

– ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ერთ რამეს ვეტყვი სახალხო დამცველს: ბატონო უჩა, ერთი მიმითითეთ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც გვეუბნება, რომ ვანო მერაბიშვილის გაყვანა არ შეიძლებოდა საკნიდან, მით უმეტეს, მთავარი პროკურორის მიერ. სად წერია, რომ არ შეეძლო გაყვანა? მე არ ვიცი, ეს ფაქტი მოხდა თუ არა,



**„უჩა ნანუაშვილს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა სასამართლოს შესახებ დასკვნები. ის მაინც უნდა დაეფიქსირებინა, რომ ათასობით მოქალაქე პრეტენზიებს გამოთქვამს სასამართლოს მისამართით. როცა საქმე უკვე გლობალურ მოვლენასთან გვაქვს, ხომ უნდა დაფიქრდე? ვიდეო და აუდიოგადაღებას მივესალმებით, ეს კარგია, მაგრამ შიგნით რა ხდება, ამან არ დაგაინტერესა? ამ საკითხის უყურადღებოდ დატოვება არ არის კარგი ტენდენცია"**

მაგრამ რომც მომხდარიყო, კანონი ამას არ კრძალავს. ვანო მერაბიშვილი მოთავსებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებულ დაწესებულებაში, რომლის ხელმძღვანელობასაც უფლება აქვს, გადაიყვანოს, გადმოიყვანოს, დაელაპარაკოს და ასე შემდეგ. ვანოს პრეტენზია ჰქონდა, ღამის საათებში გადამიყვანესო. ახლა ის კანონი მაჩვენონ, სადაც წერია, რომ ღამის საათებში გადაყვანა არ შეიძლება? ერთი მუხლი მიმითითონ, სადაც ეს წერია. ყველაფერი მაქვს წაკითხული, „პატიმრობის შესახებ" კოდექსი ავიღოთ, ევროკონვენცია ავიღოთ, სად წერია ასეთი რამ? გარდა ამისა, თავის დროზე სასჯელაღსრულების მინისტრმაც უარყო ეს ფაქტი, პროკურატურამაც, გამოძიებამაც. ვანოს ადვოკატებს გასაჩივრების უფლებაც ჰქონდათ და არ გაასაჩივრეს. მე თვალ-ყურს ვადევნებდი ამ პროცესს საკმაოდ ყურადღებით, არავის საჩივარი არ შეუტანია ზემდგომ პროკურორთან. ახლა საიდან გაახსენდა სახალხო დამცველს, ხელახალ გამოძიებას რომ ითხოვს? მე ძალიან მიკვირს, უჩა ნანუაშვილმა მეტი ვერაფერი ნახა სალაპარაკო? დავუშვათ, მართლა გაიყვანეს მერაბიშვილი, ვინმემ რამე გაუკეთა? ვაზაგაშვილის საქმეა გამოუძიებელი, ჟვანიას საქმე ისევ გაჩერდა, ამაზე რატომ არაფერს ამბობს? ხალხს სიცოცხლე წაართვეს და ახლა ვანო თუ გაიყვან-გამოიყვანეს, დიდი ამბავი.

— **პირადად მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ სახალხო დამცველმა პრესა კი წაიკითხა, მაგრამ ბევრი რამ გამორჩა.**

– რა ვიცი... მე უჩა ნანუაშვილს ვიცნობ, როგორც კარგ უფლებადამცველს, მაგრამ ახლა რა გითხრა, როგორც ჩანს, საჯარო მოხელეობა სულ სხვა რაღაცაა. იმედია, ჩვენს შენიშვნებს მომავალ ანგარიშში გაითვალისწინებს.

**„ადამიანებმა მთელი ცხოვრება დაკარგეს, მთელი ქონება დაკარგეს და ამ დროს სახალხო დამცველი წუხს, ვანო მერაბიშვილი რატომ გაიყვანეს საკნიდანო? ამ დროს ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ პრესკონფერენციებს, დაზარალებული ბიზნესმენები გამოდიან და ჰყვებიან, როგორ დაატერორეს თავის დროზე"**



**„ბატონო უჩა, ერთი მიმითითეთ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც გვეუბნება, რომ ვანო მერაბიშვილის გაყვანა არ შეიძლებოდა საკნიდან, მით უმეტეს, მთავარი პროკურორის მიერ. სად წერია, რომ არ შეეძლო გაყვანა? ვანოს პრეტენზია ჰქონდა, ღამის საათებში გადამიყვანესო. ის კანონი მაჩვენონ, სადაც წერია, რომ ღამის საათებში გადაყვანა არ შეიძლება?"**

**„მე ძალიან მიკვირს, უჩა ნანუაშვილმა მეტი ვერაფერი ნახა სალაპარაკო? დავუშვათ, მართლა გაიყვანეს მერაბიშვილი, ვინმემ რამე გაუკეთა? ვაზაგაშვილის საქმეა გამოუძიებელი, ჟვანიას საქმე ისევ გაჩერდა, ამაზე რატომ არაფერს ამბობს? ხალხს სიცოცხლე წაართვეს და ახლა ვანო თუ გაიყვან-გამოიყვანეს, დიდი ამბავი"**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თაღლითობის ფაქტზე დააკავეს



საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, უწყების თანამშრომლების მიერ, თაღლითობის ფაქტზე, დაკავებულია მოქალაქე მამუკა მაჭარაშვილი.

„გამოძიებით დადგენილია, რომ მამუკა მაჭარაშვილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, დაუკავშირდა ირანელი ინვესტორის მანოუჩეჰრ ბაგჰერის წარმომადგენელს რევაზ ნოდიას, რომელსაც თითქოსდა თბილისის მერიაში არქიტექტურული პროექტის დამტკიცების დახმარების სანაცვლოდ მოტყუებით გამოართვა 17 000 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოსთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი ყოფილი დეპუტატი შიმშილობს



ცხინვალის დროებითი მოთავსების იზოლატორში სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ბატირ პუხაევი უვადო შიმშილობას აცხადებს. ამის შესახებ გამოცემა „**ЭХО КАВКАЗА**" წერს.

გამოცემის ინფორმაციით, ძმები იგორ და ბატირ პუხაევები გასულ პარასკევს გენპროკურატურის დავალებით დააკავეს. როგორც გამოცემა წერს, „მათ ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი და საქართველოს ხელისუფლების მიერ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა".

მათი ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთში ამ სტრუქტურის საქმიანობა უკანონოდ მიიჩნევა და მიმართულია საკონსტიტუციო წყობის წინააღმდეგ.

პუხაევები დაკავებას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ. (ნიუპოსტი)



## ფოთში მოზარდი დაიხრჩო

ფოთში, ზღვაში მოზარდი დაიხრჩო. წყალში ორი მოზარდი შევიდა, ერთ-ერთის გადარჩენა თვითმხილველებმა მოახერხეს, მეორე კი დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)



# გარემოს დაცვის სამინისტროს კორუფციული სქემა

## რას უყვება „ალიას“ უფლებადამცველი

ორი დღის წინ „მოდულის“ შენობაში 8 საათის მანძილზე მიმდინარეობდა გარემოს დაცვის მინისტრის ხათუნა გოგალაძის მოადგილის ირაკლი ნოზაძის დაკითხვა, რომელმაც გარეთ გამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ საგამოძიებო კითხვებს უპასუხა და რომ საკითხი ამოწურულია. არადა, წინასწარი ცნობით, ნოზაძის დაკითხვაზე დაბარება კორუფციულ სქემებს უკავშირდებოდა, საუბარია სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე.

„უფლებადამცველთა კავშირის“ ხელმძღვანელის, **ნიკოლოზ მჟავანაძის** განცხადებით, სამინისტროში „საკითხი ამოწურული“ ნამდვილად არაა და აქ მიმდინარე დარღვევებთან დაკავშირებით ის უახლოეს დღეებში აპირებს პრესკონფერენციის მოწვევას:

– ამ შემთხვევაში საკითხი ეხება გარემოს დაცვის მინისტრ გოგალაძეს, რადგანაც სოციალური ქსელით მოგვმართა უამრავმა მოქალაქემ და ხაშურის, ქარელის, კასპისა და გორის ტერიტორიაზე ხე-ტყის გაჩეხვის მასშტაბურ ფაქტებზე შეგვატყობინა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს მინისტრსაც, რადგანაც სამინისტროს ცხელ ხაზზე რამდენჯერმეა უკვე დარეკილი, თუმცა სამინისტროს სატყეო სამსახურმა არანაირ ზომებს არ მიმართა.

**— ვითომ რატომაო?**

– რატომ და ამ რეგიონის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელი, ჩვენი ინფორმაციით, არის ხათუნა გოგალაძის ახლო ნათესავი, კერძოდ, მამიდაშვილი, ესაა ზურაბ ჩადუნელი და ამ ადამიანს რომ ეუბნებიან, რაიმე ზომას მიმართეთ ამ უკანონო ჭრასთან დაკავშირებითო, კაცი პასუხობს, გოგალაძე ჩემი ნათესავია და ვერაფერსაც ვერ მიზამთო, მოკლედ, იქით ზემოქმედებს მოსახლეობაზე. მაგრამ როცა ხე-ტყის გაჩეხვას მასშტაბური სახე ეძლევა, რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობა საშიშროების წინაშე დგება. წარმოიდგინეთ, მორებით სავსე მანქანები როგორ ტოვებენ სოფელს, ამას ხალხი ყოველდღე ხედავს და ტყის ჭრა რომ ინტენსიურია, ეს შემდგომში, ძალიან ცუდად შემოუბრუნდება რეგიონს. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ გოგა ხაჩიძის დროს მთელი სატყეოს ხალხი დაიჭირეს, რადგანაც გაქანებული ალებმიცემობა იყო გაჩაღებული ამ სამინისტროში, კერძოდ, სატყეო მიმართულებით და ვფიქრობ, რომ მინისტრმა გარკვეული რეფორმები უნდა განახორციელოს და ზომები მიიღოს. რაც შეეხება მოადგილის, ნოზაძის დაბარებას „მოდულის“ შენობაში, ეს გარკვეულწილად უკავშირდება იმას, რომ, ჩემი აზრით, დაჭერების სიო ქრის და დაჭერების სერიალს უნდა ველოდოთ.

**„კორუფციული სქემები იკვეთება იმ კუთხითაც, რომ რომელიღაც მსხვილ სამრეწველო ობიექტებს მწვანე შუქი აქვთ ანთებული, მათ არ აჯარიმებენ, არადა ამის დაუჯარიმებლობა ყოვლად გამორიცხულია“**

თუ პარალელს გავავლებთ ამ და წინა ხელისუფლებას შორის, დავინახავთ, რომ ესენი ადამიანს ღირსებას არ ულახავენ და სატელევიზიო დაჭერები არ ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ეტყობა, ვილაცებს თავს გაუყიდათ და ზოგიერთი მოეშვა, თორემ სხვას რას დავაბრალო ჩინოვნიკების ასეთი ქცევა? ყველას გვახსოვს, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა იყო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სარეკრეაციო ზონების დაშვება, რადგანაც ამ მხრივ სააკაშვილის რეჟიმმა გაანადგურა ყველაფერი, რისი განადგურებაც შეიძლებოდა, ეკოსისტემის მხრივ სერიოზული ზიანი მიადგა ქვეყანას და ახლა თუ ჩვენ გავაგრძელეთ კაფვა და ძირკვა, მაშინ უდაბნო გვდომებია. ამიტომ მინისტრმა დროზე უნდა მიხედოს საქმეს და თუ მიხედვის შნო არ აქვს, შესაბამისი დასკვნა გამოიტანოს, რადგანაც შენი საკუთარი ნათესავი, თანამდებობის პირი, იმის ნაცვლად, რომ ზომებს იღებდეს ტყის ჩეხვაზე, კაცი იმუქრება, „კრიშა“ მყავს, ცოტა აზრზე მოდითო და არ არის ეს გაუგონარი ფაქტი?

**— როცა ნოზაძე დააკავეს, საუბარი იყო იმაზე, რომ ეს დაკავება კორუფციულ სქემებს უკავშირდება, სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან სამსახურის ბოროტად გამოყენებასო.**



**„რაც შეეხება მოადგილის, ნოზაძის დაბარებას „მოდულის“ შენობაში, ეს გარკვეულწილად უკავშირდება იმას, რომ, ჩემი აზრით, დაჭერების სიო ქრის და დაჭერების სერიალს უნდა ველოდოთ“**

– ეს, რაც დაიწერა, მშრალი ინფორმაციაა, მაგრამ შიგნიდან არაერთმა პირმა მომმართა, გარემოს დაცვის სამინისტროში კორუფცია მძვინვარებსო, მაგრამ რახან უკვე ჩაერთო საგამოძიებო სტრუქტურები, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ დაკითხვით არ შემოიფარგლებიან და მარტო ნოზაძეს არ დაკითხავენ, საქმე გამოსაძიებელია და, ჩემი აზრით, ვინაიდან გარემოს დაცვის სამინისტროში შედის ბუნებრივი რესურსები, წიაღისეული, საკმაოდ სერიოზული ფულის შოვნის საშუალება ეძლევათ, თუკი ვინმე დახუჭავს თვალს. მაგალითად, იყო ერთ-ერთი პრობლემა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დებულე-

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინაში „ბოინგ 777“ ჩამოაგდეს, დაღუპულია 300 ადამიანი



„ბოიონგ 777“ დონეცკის ოლქში შახტიორსკის რაიონში ჩამოვარდა. ოპერატიული ჯგუფის მონაცემებით, მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავის კავშირი კიევთან 16:20 საათზე გაწყდა. ლაინერი ასრულებდა რეისს კუალა ლუმპური-ამსტერდამი. უკრაინელი ძალოვნები ანტიტერორისტული ოპერაციის ჯგუფებიდან არ ფლობენ არსებულ რაიონში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს, თუმცა ამ სისტემებით მუდმივად სარგებლობენ პრორუსული დაჯგუფებები და რუსეთის საჰაერო ძალების ქვედანაყოფები. ამ ინფორმაციას ადასტურებს შს მინისტრის თანაშემწე ანტონ გერაშენკო, რომელიც აცხადებს: „სულ ცოტა ხნის წინ ტერორისტებმა ჩამოაგდეს სამოქალაქო თვითმფრინავი, სულ რამდენიმე ხნის წინ პუტინის მიერ ტერორისტებისთვის გადაცემული სარაკეტო კომპლექს „ბუკ“-ის გამოყენებით. დაფიქსირებულია გარკვეული ჯგუფების მიერ აღნიშნული დანადგარებით გადაადგილება ტორეზოდან სნეჟნოეს მიმართულებით. თვითმფრინავი მიფრინავდა 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე. პუტინისა და მისი ტერორისტების ცინიზმს საზღვარი არ აქვს“, – წერს გერაშენკო.

უკრაინული მედია ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ზე დაყრდნობით იუწყება, რომ რუსეთის ფედერაციიდან განხორციელდა რაკეტის გაშვება, რომელმაც მალაიზიური ავიახაზების ლაინერი ჩამოაგდო. „სი-ენ-ენი“ თავის მხრივ პენტაგონის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა და აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტი თანამგზავრის მეშვეობით დაფიქსირდა. (ნიუპოსტი, ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილმა პარლამენტს უზენაესი სასამართლოს წევრად ორი კანდიდატურა წარუდგინა



პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად ორი კანდიდატურა ზურაბ ძლიერაშვილი და ნინო ბაქაქური წარუდგინა.

ძლიერაშვილს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1998-2005 წლებში მას მიენიჭა უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2005-2008 წლებში იყო თსუ-ის სრული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის საპროფესოროს ხელმძღვანელი. 2013 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრი.

ნინო ბაქაქური 1998-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში სხვადასხვა პოზიციებზე. 2004 წელს მუშაობდა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის უფროს იურიდიულ მრჩევლად. 2008 წლიდან დღემდე მუშაობს იურიდიულ კომპანიაში „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ საბანკო და ფინანსური სამართლის ხელმძღვანელად.

აღნიშნული კანდიდატების შესახებ პარლამენტი, სავარაუდოდ, მომავალ კვირას რიგგარეშე სესიაზე იმსჯელებს. (რეპორტიორი)

*მეცხრე გვერდიდან*




**„საგამოძიებო სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ ამ ფაქტითაც, კერძოდ, ზურაბ ჩადუნელის ქცევას ვგულისხმობ და შესწავლილ იქნას ჩემ მიერ ჩამოთვლილ ადგილებზე, ანუ, შიდა ქართლში არსებული მდგომარეობა. როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ამის შემდეგ მინისტრს მოგვარებული აქვს საქმე? აქეთ მამიდაშვილია მიშვებული, იქით მოადგილეს იბარებენ მოდულში და 8 საათი დაკითხვა მიდის“**

ბაში ახალი ცვლილებების შეტანა, რომლის თანახმადაც გარემოს დაცვის სამინისტრო ითხოვს, საშუალო და მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წინასწარ იქნას წარმოდგენილი დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, ეკონომიური და სოციალური ეფექტის დეტალური მონეტარიზებული დოკუმენტაცია.

**— ეს რას ნიშნავს?**

– ანუ ის, რომ გარემოზე ნებისმიერი სახის ზემოქმედება იქნას ეროვნულ ვალუტაში გამოხატული და ეს მაშინ, როცა მსგავსი ტიპის ინფორმაციის მისაწოდებლად საჭიროა მეთოდოლოგია, სამინისტროს კი არ აქვს ეს ყოველივე შემუშავებული, ხოლო ზუსტი და ნათელი მეთოდოლოგიის გარეშე პროექტისთვის ეკოლოგიური, ეკონომიური და სოციალური ეფექტის ობიექტური მონეტარული შეფასება წარმოუდგენელია და ჩვენ ვხედავთ, რომ სამინისტროში ამ მხრივაც არის გარკვეული პრობლემები.

ყველას გვეგონა, რომ გარკვეული შვება და დასანახი ეფექტი უნდა მოჰყოლოდა გოგალაძის დანიშვნას და სამინისტროს უნდა ეზრუნა მთელი რიგი პრობლემების მოგვარებაზე, საქართველოში ეკოსისტემის

**„უმკაცრესი რეგულაციები უნდა დაწესდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ვთქვათ, მწვანეს ანთება იმით არის განპირობებული, რომ მაღალჩინოსნებიც არიან ჩართულები ამ**

გამოკვეთაზე, ტყვიაშემცველი ბენზინის შემოტანის პრობლემაზე, მდინარეების დაბინძურების პრობლემაზე, არადა ამ კუთხით არავითარი სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა და რეალურად, ჩემი აზრით, კორუფციული სქემები იკვეთება იმ კუთხითაც, რომ რომელიღაც მსხვილ სამრეწველო ობიექტებს აქვთ მწვანე შუქი ანთებული, მათ არ აჯარიმებენ, არადა, ამის დაუჯარიმებლობა ყოვლად გამორიცხულია, ასევე წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების კუთხითაც უნდა დაისვას მთელი რიგი კითხვის ნიშნები, ვის აძლევენ ამის უფლებას და აუქციონზე როგორ და რა თანხებში ხდება ამის გატანა. ანუ, ძალიან ბევრი პრობლემაა, მაგრამ ხე-ტყის გაჩეხვა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა და რატომ ვერ ხდება ამისი შეწყვეტა-შეჩერება, წარმოუდგენელი ამბავია. ჩვენი აზრით, საგამოძიებო სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ ამ ფაქტითაც, კერძოდ, ზურაბ ჩადუნელის ქცევას ვგულისხმობ და შესწავლილ იქნას ჩემ მიერ ჩამოთვლილ ადგილებზე, ანუ შიდა ქართლში არსებული მდგომარეობა. როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ამის შემდეგ მინისტრს მოგვარებული აქვს საქმე? აქეთ მამიდაშვილია მიშვებული, იქით მოადგილეს იბარებენ მოდულში და 8 საათი დაკითხვა მიდის, გარკვეული კორუფციული სქემები არსებობსო, მე ხუთი წელი ვიყავი ეკოლოგიური სამართლის ცენტრის ხელმძღვანელი და ხუთი თითივით ვიცი ეს სქემა, გაჩეხვას ვგულისხმობ, ამ საკითხზე პროცესები მოგვიგია და ზუსტად ვიცი, რომ დიდი ფული სწორედ ხე-ტყის ბიზნესში კეთდებოდა ყოველთვის გარემოს დაცვაში. იგივე მერაბიშვილის ბიძას სამცხე-ჯავახეთი იმიტომ ჰქონდა ჩაბარებული, მთავარი ფული იქ კეთდებოდა. ახლა თუ არ შეიცვალა ამ კუთხით რამე, მაშინ რა აზრი ჰქონდა ყველაფერს?

**— რა უნდა გაკეთდეს?**

– ეს ხალხი უნდა მოსცილდეს, ვინც ასეთ საქმეს სჩადის და ხე-ტყის გაჩეხვაზე უმკაცრესი რეგულაციები დაწესდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ვთქვათ, მწვანეს ანთება იმით არის განპირობებული, რომ მაღალჩინოსნებიც არიან ჩართულები ამ სქემებში და, სავარაუდოდ, ამიტომ იყო დაკავებული ირაკლი ნოზაძე. ეს ინფორმაცია მე მაქვს და საგამოძიებო სტრუქტურებს არ ექნება? ამით ხელისუფლებამ გვანახა, რომ საკუთარი გუნდის უახლოეს ადამიანებსაც არ დაინდობს და ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს, იგივე სოფლის მეურნეობის მინისტრის განთავისუფლება და მაღალჩინოსნების დაკავება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლების ხელშეუხებლობა და იმუნიტეტი არსებობს, ეს სისულელეა, მათ ჩადენილზე პასუხი მოეთხოვებათ. ვერ გავიგე, მშვენიერი ხელფასები აქვთ, პრემიებს იღებენ და ყველა საშუალება აქვთ, რომ ქრთამი არ აიღონ და რა ხდება? ცოტა აზრზე მოვიდნენ და ვიღაცას თავში ნუ აუვარდება, რადგანაც სააკაშვილის დროს ყველას გვახსოვს, მინისტრების როგორი „კარუსელი“ ტრიალებდა და ერთიც ვნახოთ, ამათ რომ სხვა „კარუსელი“ დაუტრიალდეთ, არა?

**„მშვენიერი ხელფასები აქვთ, პრემიებს იღებენ და ყველა საშუალება აქვთ, რომ ქრთამი არ აიღონ და რა ხდება? ცოტა აზრზე მოვიდნენ და ვიღაცას თავში ნუ აუვარდება, რადგანაც სააკაშვილის დროს ყველას გვახსოვს, მინისტრების როგორი „კარუსელი“ ტრიალებდა და ერთიც ვნახოთ, ამათ რომ სხვა „კარუსელი“ დაუტრიალდეთ, არა?“**

**კომენტარისთვის ვუკავშირდებით გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელს, მაია სიხარულიძეს:**

– რასაც მჟავანაძე ამბობს, ეს არის... მე მოგაწვდით მარტივ სტატისტიკას და გამოიტანეთ დასკვნა, რომ მისი სიტყვები არის აბსურდი. ჩვენი სამინისტრო, სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლები და მობილური ჯგუფები ახორციელებენ პატრულირებას მთელი საქართველოს მასშტაბით, ცხადია, ამ მხრივ არც შიდა ქართლის რეგიონია გამონაკლისი. 2014 წლის სტატისტიკა ხე-ტყის ჭრის ფაქტების შესახებ ასეთია, მაგალითისათვის, თბილისში 8 ფაქტი...

**— თქვენ არ ადასტურებთ, რომ ხსენებულ რეგიონში ყოველდღიური ჭრის ფაქტები არსებობს? სტატისტიკა სტატისტიკად და ამ რეგიონში რა ხდება?**

– შიდა ქართლში გამოვლინდა ხე-ტყის უკანონო ჭრის 88 ფაქტი, ანუ საუბარი იმაზე, რომ ვინმეს მხრიდან ხდება ვინმეზე ხელის დაფარება, არის აბსოლუტური აბსურდი.

**— რაც შეეხება სატყეო სამსახურის ხელმძღვანელ ზურაბ ჩადუნელს, რომელიც არ რეაგირებს უკანონო ჭრაზე, ნამდვილად მინისტრ გოგალაძის ნათესავია?**

– რაც შეეხება ბატონ ზურაბ ჩადუნელს, ის ნამდვილად სატყეო სამსახურის უფროსია, გეთანხმებით, ის დაახლოებით 10 წელის ამ სფეროში მუშაობს და ამ პოზიციაზე შერჩეულია მისი გამოცდილების მიხედვით და...

**— არის მინისტრის ნათესავი?**

– ეგ ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ პროფესიონალია.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არ მჯერა, რომ ეროსიმ თავი მოიკლა“



ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას თქმით, ეროსი კიწმარიშვილს ძალიან ბევრი გეგმა ჰქონდა და ის თავს არ მოიკლავდა.

„არ მჯერა იმის, რომ ეროსიმ თავი მოიკლა. თუ ვინმე მას იცნობდა, ეს მისთვის დაუჯერებელია. ჯერჯერობით ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით ბევრი კითხვაა. რაც ვნახე „კურიერში“, კამერიდან დაწყებული, თითის ანაბეჭდებით, ჩართული ფარებით, შეკრული ღვედით დამთავრებული, ყველაფერი ამაზე მეტყველებს. ასევე, ბოლო პერიოდში აქტიური შეხება მქონდა მასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ის საარჩევნო პროცესში იყო ჩართული და არაერთხელ გვისაუბრია გადაცემაში სტუმრობასთან დაკავშირებით. ის ჰიპერაქტიური იყო. არჩევნების მეორე ტურის წინა დღეს ვისაუბრეთ ბოლოს და მითხრა, რომ აქვს ძალიან მაგარი გეგმები. მე არ მომეჩვენა, რომ ის იყო დეპრესიული და იმ მდგომარეობაში“, – განაცხადა გრიგოლიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...




## პაატა ზაქარეიშვილს მეცნიერული კომუნიზმის მასწავლებლის დიპლომი აღმოაჩნდა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხთა სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს მეცნიერული კომუნიზმის მასწავლებლის დიპლომი აღმოაჩნდა. ამის შესახებ „ფეისბუკზე“ ციხის სკანდალური კადრების ავტორი ლადო ბედუკაძე წერს და დიპლომის ფოტოს აქვეყნებს.

„შერიგების მინისტრის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. 30.06.1984წ. მინიჭებული კვალიფიკაცია: მეცნიერული კომუნიზმის მასწავლებელი. ვიცოდი, რაღაც იყო ამ კაცში განსაკუთრებული!“, – წერს ბედუკაძე. (ნიუპოსტი)

## უკრაინის არმიის Су-25 რუსეთმა ჩამოაგდო



17 ივლისს, უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა ანდრეი ლისენკომ რუსეთი ოფიციალურად დაადანაშაულა უკრაინის არმიის **Су-25**-ის ჩამოგდებაში. მან ასევე რუსეთის არმიას უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციის ძალების პოზიციების „გრადების“ მეშვეობით დაბომბვაში დასდო ბრალი. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რატომ არ ურთავენ კონდიციონერს ყვითელი „მარშუტკების“ მგზავრებს

## რა განუმარტეს „ალიას“

**გასულ კვირას „თბილისის მიკროავტობუსმა“ მედიასაშუალებებით ინფორმაცია გაავრცელა, რომ 14 ივლისიდან ყველა სამარშრუტო ტაქსი ვალდებულია, ცხელი დღეების გამო ჩართოს გაგრილების სისტემა. ამის შესახებ კომპანიისგან მძღოლებს მკაცრი მითითება მიეცათო. როგორც აღმოჩნდა, სამარშრუტო ტაქსების უმეტესობაში კონდიციონერები გამორთულია და მგზავრების მოთხოვნაზე, ჩართონ, მძღოლები პასუხობენ, რომ კონდიციონერი გაფუჭებულია.**

**„ალიას“ მძღოლების უფლებადამცველი, ნიკოლოზ კაჭკაჭური ესაუბრა:**



**— ბატონო ნიკოლოზ, რა ხდება რეალურად, რატომ არ რთავენ მძღოლები კონდიციონერებს?**

– რა თქმა უნდა, კონდიციონერი ჩართული უნდა იყოს, მაგრამ ფირმის ხელმძღვანელობამ ყვითელ მიკროავტობუსებში გვიან დაიწყო კონდიციონერის გაკეთება. მხოლოდ მგზავრები ხომ არ არიან შეწუხებული, ამ სიცხეში მძღოლებიც იხარშებიან. არც იმათ სიამოვნებთ გაფუჭებული კონდიციონერით სიარული. ეგ ფირმა როდის იცლის საქმის საკეთებლად? ველოდებით, როდის მოვა ახალი ხელმძღვანელობა თბილისის სატრანსპორტო სამსახურში, რომ პრობლემები მოგვარდეს. დიდი პროგრამა გავაკეთე, რაც პრობლემებს მოიცავს და ველოდები ახალ ხელმძღვანელობას. თუ აქამდე არაფერი კეთდებოდა, ახალმა ხელისუფლებამ მაინც უნდა მოაგვაროს. ყველა პასუხისმგებელი პირი განთავისუფლებულია სამსახურიდან და ამიტომ ველოდებით ახალ ხელმძღვანელობას.

**— სანამ სატრანსპორტო სამსახურში ხელმძღვანელობა დაინიშნება, იქნებ მანამდე კომპანიაში მისულიყავით?**

– ფირმაში მისვლას აზრი არ აქვს, სატრანსპორტო სამსახურიდან უნდა მოგვარდეს. იმდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, საიდან დავიწყო, არც კი ვიცი. არავის არაფერი არ ადარდებს, ფულის კეთების გარდა. პრობლემები მაშინ დაიწყო, როცა ამ ფირმამ ყვითელი „მარშრუტკები“ შემოიყვანა. პირველი დღიდანვე ვამბობდით, რომ ეს „ფორდები“ დამზადებულია თურქეთში, მას მერე, მესამე წელია, ყოველ წელიწადს აკეთებენ კონდიციონერს მძღოლები. იმდენად უხარისხოა, რომ ძალიან მალე ფუჭდება, როგორც არ უნდა საიმედოდ გააკეთო. გვყავს მძღოლები, რომელთაც წელს გააკეთეს კონდიციონერი, 3-7 დღეში გაფუჭდა, იმდენად უხარისხოა და ისევ გასაკეთებელია.

**— რა ჯდება მისი გაკეთება?**

– 200 ლარამდე. წარმოიდგინეთ, მალე რომ გაფუჭდება, სეზონზე რამდენი 200 ლარი დაჯდება კონდიციონერის გაკეთება? არანაირად არ კეთდება სრულყოფილად.

**— ვინ იხდის ამ თანხას?**

– თანხას მძღოლი იხდის. კონდიციონერს ხან რა აქვს გასაკეთებელი, ხან - რა. ადმინისტრაციაში მოწვეული ჰყავთ სპეციალისტები და აკეთებენ კონდიციონერებს, მაგრამ, თუ არ ვარგა, რამდენიც გინდა, აკეთე. სისტემა უვარგისი ტექნოლოგიითაა გაკეთებული. მძღოლებს ვესაუბრე, ძალიან უნდათ გაკეთება, მაგრამ რამდენი ხელოსანი უნდა მოიყვანო? 2 ათასი მანქანის გაკეთებას 500 ხელოსანი მაინც უნდა, რომ დროულად მოხდეს შეკეთება, საიდან მოიყვანენ ამდენ ხელოსანს, რომ სისტემა მწყობრში იყოს?



**„ეს „ფორდები“ დამზადებულია თურქეთში, მას მერე, მესამე წელია, ყოველ წელიწადს აკეთებენ კონდიციონერს მძღოლები. იმდენად უხარისხოა, რომ ძალიან მალე ფუჭდება, როგორც არ უნდა საიმედოდ გააკეთო. გვყავს მძღოლები, რომელთაც წელს გააკეთეს კონდიციონერი, 3-7 დღეში გაფუჭდა, იმდენად უხარისხოა და ისევ გასაკეთებელია“**

**— ამბობენ, მძღოლები საწვავში ფულს ზოგავენ და ამიტომ არ რთავენ კონდიციონერსო...**

– როგორ გინდა, მგზავრს აუხსნა ეს ყველაფერი? ბევრი მძღოლი გამოიყვანეს წყობილებიდან, წარმოიდგინე, 100 მგზავრი რომ შეგეკითხება დღეში, კონდიციონერი რატომ არ გაქვს ჩართულიო. იმ ზომამდე მიიყვანეს ზოგი მძღოლი, რომ მგზავრის თანდასწრებით ჩართეს და აჩვენეს, რომ გაფუჭებული იყო. როგორ უნდა აჩვენო და გააგებინო ყველა მგზავრს? ძალიან მძიმე მდგომარეობაა. საკუთარი თვალით მინახავს, გასვლის დრო არ აქვთ, მაგრამ ისეთი სიცხეა, შიგნით სხედან მძღოლები და კონდიციონერი აქვთ შავ დღეში არიან მძღოლები.

**— ადმინისტრაცია სანქციების შემოღებით იმუქრება. ვინმე დაისაჯა?**

– ეს მანქანები რომ შემოიყვანეს, თქვეს, 7 წელი იქნება წესრიგშიო. თუ გაფუჭდა, რა ზომებს მიიღებენ, მძღოლს გააგდებენ? არ კეთდება ეს სისტემა, სულ სხვა სისტემაა. ვერ მიხვალ ყველგან და ვერ გააკეთებ. ამას სჭირდება მთელი დღე ლოდინი, მძღოლს დღე ეკარგება ამის შეკეთებაში, მას გეგმა აქვს შესასრულებელი და 5-ჯერ რომ წახვალ სისტემის გასაკეთებლად, ნახეთ, რამხელა ზარალია მისთვის. საწვავის ეკონომიას ვინ ჩივის, ამ სიცხეში საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე ეკონომიას ვინ გააკეთებს?

რაც შეეხება სატელევიზიო პროპაგანდას, ეს ყველაფერი ხალხის მოტყუების მიზნით ხდება, მგზავრს კი ხელში რჩება მძღოლი. შენ თუ გცხელა, მძღოლს არ ცხელა, მაცივრიდან გამოვიდა? ყველა მონდომებულია, გაგრილებული მანქანით იმგზავროს. აბა, გაბედონ, ვინმე მძღოლი დასაჯონ ამის გამო. არანაირი კონტროლის რესურსი არ აქვთ. შეიძლება ერთი-ორი ადამიანი აუშვან მიკროავტობუსში მძღოლის დასასჯელად, მაგრამ არც ერთი არაა დასასჯელი. ისევ თვითონ არიან დამნაშავეები, ჯერ შემოეყვანათ ნორმალური მანქანები, მერე ცოტა ჩართული, მაგრამ თუ გაფუჭებულია ეს უპატრონო, რა ჩართოს, ვის სიამოვნებს ეს სიცხე? ადრე გაეკეთებინათ კონდიციონერები, რას ელოდებოდნენ ივლისს? ბევრს იტყუებიან ეგენი. იმდენი პრობლემა გვაქვს, ერთი სული მაქვს, ნარმანია როდის შევა კაბინეტში, რომ ყველა პრობლემა წინ დავუდო.

**— კონკრეტულად რა პრობლემებზე გსურთ მასთან საუბარი და იქნება თუ არა ამ საკითხებში ტარიფების საკითხიც?**

– ტარიფები არ გადაიხედება, რადგან 80 თეთრი არის ის თანხა, რომელსაც ვერანაირად ვერ დააკლდება, მაგრამ არც გაიზრდება. არ ვარგა მანქანები და ამ საკითხს დავსვამ. სასურველი იქნება, თუ მანქანები იაპონიიდან ჩამოვა, რადგან იმათ გამართული სისტემა აქვთ. 10 წელი არ უფუჭდებათ კონდიციონერი, როცა ამ თურქულ ნაგავს ყოველ წელიწადს უფუჭდება. ვინ უნდა დააჯარიმონ, როცა თავიანთი ბრალია ყველაფერი და აბა, ვნახოთ, ვინ გაბედავს ამ მძღოლებისთვის რაიმე პრეტენზიის წაყენებას.

**„ალია“ შეეცადა „თბილისის მიკროავტობუსის“ პრესსამსახურთან დაკავშირებას, მაგრამ ელენე ხაჭაპურიძემ ზარებზე არ გვიპასუხა, მივწერეთ კიდეც, „ალიადან“ გირეკავთ, მიკროავტობუსების კონდიცირების საკითხი გვაინტერესებს. აღნიშნული დარღვევის გამო რომელიმე მძღოლი თუ დაისაჯა-თქო“. პასუხი არ მიგვიღია და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ხელის გაშვერა „დამნაშავისკენ“ და ყოველგვარი პასუხისმგებლობის მოხსნა ადვილი საქმეა, მით უმეტეს, როცა ასეთ ცხელ დღეებში, ალბათ, თავად არ სარგებლობ სამარშრუტო ტაქსით.**

**ჟანა ასანიძე**
**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას ქონება 1 ლარად გადასცა



საქართველოს მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას წალკაში არსებული 1754 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადასცა. ამის შესახებ მთავრობის განკარგულებაშია ნათქვამი, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს.

ჯერჯერობით უცნობია, რისთვის გამოიყენებს ეკლესია წალკაში გადაცემულ ქონებას. (ნიუპოსტი)

## ბიუჯეტი 250 მილიონი ლარის გადაჭარბებით შეივსო



ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, საშემოსავლო სფეროს კუთხით ბიუჯეტი 250 მილიონი ლარის გადაჭარბებით შეივსო.

„გასული ექვსი თვის განმავლობაში, მათ შორის ივნისში, ეკონომიკური ზრდა გაგრძელდა, დღგ-ს გადამხდელი საწარმოების ბრუნვა იყო 11 პროცენტზე მეტი, ეს ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით 5.5 პროცენტი იყო ივნისში ეკონომიკური ზრდა, ანუ 6 თვის განმავლობაში დაახლოებით ისევ 6 პროცენტზეა საუბარი. ჩვენ ბიუჯეტი დავგეგმეთ 5-პროცენტიან მაჩვენებელზე, ანუ ზედმეტად ოპტიმისტები ნამდვილად არ ვყოფილვართ“, – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გეგმა, რომელიც კიწმარიშვილს რუსთავის განვითარებასთან დაკავშირებით ჰქონდა



ეროსი კიწმარიშვილს მნიშვნელოვანი პროექტები ჰქონდა, რომელიც რუსთავში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ამის შესახებ რუსთავის მერობის ყოფილმა კანდიდატებმა განაცხადეს. ივანე შათირიშვილისა და ალექსანდრე ბერიძის ინფორმაციით, მათ ეროსი კიწმარიშვილთან კომუნიკაცია არჩევნების მეორე ტურამდე ჰქონდათ.

როგორც შათირიშვილი იხსენებს, ერთ-ერთ შეხვედრაზე კიწმარიშვილმა გარკვეული ფონდის შექმნის იდეაც წამოაყენა.

„მას სულ ეჩქარებოდა, სულ უნდოდა, დროისთვის გაესწრო. ბოლო შეხვედრაზე თქვა ასეთი რამ: შევიკრიბოთ და გავაკეთოთ საკონსულტაციო ჯგუფი, საწარმოებს 5-5 მილიონი გადმოვარიცხვინოთო. უნდოდა, შექმნილიყო ფონდი... ამ ფონდში შემოსული თანხით სურდა რუსთავში სოციალური საკითხების მოგვარება. ასეთი თანამშრომლობა არის, როდესაც ბიზნესი თანამშრომლობს სხვადასხვა სტრუქტურასთან და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობს. ეს იყო იდეის დონეზე, დეტალები არ განგვიხილავს. მე შევშინდი კიდეც ამ იდეით, ფონდის გახსნის აუცილებლობა ამ ეტაპზე ვერ დავინახე“, – განაცხადა შათირიშვილმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# როგორ აწერენ ფულს პატიმრებს

## ნანა კაკაბაძე დეტალებს ხსნის



„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ პატიმარ შავლეგ გურგენიძის ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მე-8 დაწესებულების „ა“ კორპუსში ვინმე თემური და ოთარი (ერთ-ერთი გვარად არის ლოლუა) ზეწოლას ახდენენ სხვა პატიმრებზე. სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილდებიან თავისუფლად, სხვა პატიმრებს სთხოვენ ტელეფონის ბარათს, სიგარეტისა და სხვადასხვა პროდუქტების ყიდვას აიძულებენ. თუ რომელიმე პატიმარი არ შეასრულებს მათ მითითებას, ადმინისტრაციის თანამშრომლებს სხვა კორპუსში გადაჰყავთ. დასახელებულ პირებს მფარველობს №8 დაწესებულების დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში, ვინმე ილო. მოკლედ, ე.წ. „ციხის მაყურებლების“ პრობლემა არსებობს და რეაგირება მოახდინეთო.

საია-ს ეს განცხადება კატეგორიულად უარყო სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ, გიგა გიორგაძემ: მსგავსი არაფერი ხდება, ეს აბსურდიაო.

**რეალურად რა ხდება ციხეებში, ამის გასარკვევად „ალია“ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს დაუკავშირდა, რომელიც ბოლო დროს აქტიურად სწავლობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ სიტუაციას:**

– ძალიან სამწუხაროა, რომ ამ თემებზე საუბარი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ უნისონში მიწევს, ისინი ამ სიტუაციას, რა თქმა უნდა, თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ, მაგრამ მე, როგორც უფლებადამცველსა და ადამიანს, ძალიან მაწუხებს. პირველად მოისმინეს „მაყურებლების“ შესახებ? არაერთხელ გამიკეთებია განცხადება იმასთან დაკავშირებითაც, რომ პატიმრები ციხეებში ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. მართალია, ცოცხები და გაუპატიურება აღარ არის პენიტენციური სისტემის მართვის ფორმა, მაგრამ ის, რაზეც საუბარია ე.წ. „ლარიოკით“ პატიმრების სარგებლობაზე, მათთვის ფულის შეწერაზე, ეს პრობლემა არსებობს. მოგეხსენებათ, პატიმრებს ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა, მაგრამ ამ ბარათის მოხმარების უფლება თვითონ პატიმარს არ აქვს. ის უნდა გაატანოს სპეციალურად გამოყოფილ პირს, მას მოაქვს ის ჩამონათვალი პროდუქტებისა, რომელსაც პატიმარი უკვეთს, მას წილის სახით პატიმარი უტოვებს, ძირითადად სიგარეტს, მაგრამ აბსოლუტურად არ აქვს საშუალება, გადაამოწმოს, რა პროდუქტები იქნა შეძენილი მისი ბარათით.



**„სუბარის აზრით, მთავარია, პრობლემა გარეთ არ გავიდეს და სხვამ არ გაიგოს, და თუ არსებობს, ეს საგანგაშო არაა. ეს სამარცხვინოა. ევროპასთან ინტეგრირებაზე ვსაუბრობთ და რომელი ინტეგრირებაა ეს, პაპუასების დონეზე ვართ ბევრ საკითხში. ელემენტარული საკითხები ვერ მოგვიგვარებია და ევროპა გვინდაო“**

**— ქვითარი არ მოჰყვება?**

– კი, როგორ არა, მაგრამ თუნდაც ზედმეტი იყოს იქ ნაყიდი, პატიმარს არანაირი მექანიზმი არ გააჩნია თავისი ფულის კონტროლისა. იმ პირს შეუძლია ორი ჩეკი ამოარტყას, ერთი, რომელიც შეიძლება პატიმარს მიუტანოს და მეორე, ყიდვა იგივე პლასტიკური ბარათით შეუძლია განახორციელოს ისე, რომ პატიმარს არ უთხრას. მეორე ჩეკი არ მოაქვს. სწორედ ამაში დევს კორუფცია, რადგან თვის ბოლოს აღმოაჩენს პატიმარი, რომ თანხა აღარ აქვს. მანდ მეორე პრობლემა ისაა, რომ იქ იყიდება ვადაგასული, უვარგისი საქონელი, რომელიც ჩვეულებრივ ქსელში არ მოიხმარება. მაგალითად, თუ გაფუჭებული პროდუქტი მოუტანეს პატიმარს, რას იზამს?

**— ეს მომსახურე პერსონალი ვინ არის?**

– ესენი არიან პატიმრები, რომელთაც ადმინისტრაციის მხრიდან ნდობა აქვთ გამოცხადებული და როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ისინი ასრულებენ ადმინისტრაციის დავალებას. ასევე, დავუშვათ თითო პატიმარმა თითო კოლოფი სიგარეტი დაუტოვა, 2-3 ათასი კაცი ზის ციხეში, 2-3 000 კოლოფი სიგარეტი უზარმაზარი თანხაა. თან ყოველდღიურ რეჟიმში საკმაოდ დიდი თანხა გამოდის, რომელიც აკუმულირდება. ეს სიგარეტი მერე ფულად იქცევა.

**— ანუ როცა მინისტრი ამბობს, რომ ფულის მოძრაობა ციხეებში არ ხდება, ასეც არ ყოფილა საქმე...**

– ფულის მოძრაობა რეალურად არ ხდება, მაგრამ იგივე სატელეფონო ბარათები, რომელიც პატიმრებს აქვთ, ის განხორციელების უფლება აქვთ, რომ გაუშვებ ამ ზარებს, რჩება წუთები, ესეც სად მიდის, კაცმა არ იცის.

**— რატომ გახადეს „მაყურებლების“ საკითხი „ნაციონალების“ საქილიკო, ვის ინტერესშია მათი არსებობა, კონკრეტული პირი იცით, ვინ არის, რომ დამისახელოთ?**

– ციხის ადმინისტრაციის ინტერესშია. არც სააკაშვილის დროს, არც მანამდე და არც ახლა ეს ინსტიტუტი ვერ იმუშავებს, თუ არ არის ადმინისტრაციის ინტერესში. ეს ინსტიტუტი მხოლოდ მაშინ მუშაობს, როცა ადმინისტრაციას აქვს ამის სურვილი. ამით ხდება როგორც თანხების აკუმულირება, ასევე დაწესებულების მართვა. ეს არ არის სწორი ფორმა, მაგრამ იოლი მართვის ფორმაა. სულ არსებობს იმის კომპლექსი, რომ, თუ ამ თემას წამოსწევ, „ნაციონალები“ გამოიყენებენ თავისი პიარისთვის. თავისთავად დაუშვებელია, რადგან ესენი რომ ამ თემაზე საუბრობენ საერთოდ, ეს არის ამ ხელისუფლების უსერიოზულესი დანაშაული. იმდენი ვერ გააკეთეს, რომ ამ თემებზე საერთოდ ვერ ამოეღოთ ხმა. ცდილობ, ნაკლები ილაპარაკო ამ პრობლემებზე, რადგან კრიმინალური ბანდის - „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს ეს წყალს. ამიტომ იშვიათად მინდა ხოლმე ამ თემაზე საუბარი, მაგრამ პრობლემები მეტისმეტად რთულია და მისი მოგვარებაც რთულდება. აქედან გამომდინარე, რეაგირებაა საჭირო. სუბარის აზრით, მთავარია, პრობლემა გარეთ არ გავიდეს და სხვამ არ გაიგოს, და თუ არსებობს, ეს საგანგაშო არაა. ეს სამარცხვინოა. ევროპასთან ინტეგრირებაზე ვსაუბრობთ და რომელი ინტეგრირებაა ეს, პაპუასების დონეზე ვართ ბევრ საკითხში. ელემენტარული საკითხები ვერ მოგვიგვარებია და ევროპა გვინდაო.

**— ბევრი რამ შეიძლება დაიმალოს, მაგრამ ცხედრებს ვერავინ დამალავს, რამდენი ადამიანია უკვე გარდაცვლილი და უსუსურია სამინისტროს პოზიცია, ვერ ასაბუთებენ რატომ ვერ შეძლეს ბევრი მათგანის გადარჩენა.**

– გამოდიან და ამბობენ, ტყუილიაო, რა უნდა ქნა? შესვლის უფლება არ გაქვს, შიგნით გამჭვირვალობა არაა და ვერ უმტკიცებ. თვითონ ფართო ტრიბუნა აქვს და იძახის, ტყუილია ყველაფერიო. გვამებსაც მალავენ, თუ გამოუვიდათ.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ „ზონდერების“ შესახებ. ისევ მუშაობენ სისტემაში?**

– როცა ხელისუფლება ამ „ზონდერ ბრიგადებზე“ უარს არ ამბობს, ეს რას ნიშნავს? იმას, რომ როცა დასჭირდებათ, გამოიყენებენ. ამ ადამიანებს ჩადენილი აქვთ კრიმინალი და ზუსტად ამის გამო, თუ ხელისუფლების ბრძანება იქნება და არ შეასრულებენ უკანონო დავალებებს, იმ ძველ საქმეებს გაუხსენებენ. აბა, რისთვის ინახავს ამ ხალხს ხელისუფლება, რაში სჭირდება?

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თამარ ივერი „ლგბტ“ პირებს საქველმოქმედო კონცერტს მიუძღვნის



ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი თამარ ივერი ჰომოფობიურ განცხადებასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ თბილისშია. მისი განცხადებით, მან გადაწყვიტა „ლგბტ“ პირებს, 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით მისი „ფეისბუკის“ გვერდზე გავრცელებული წერილის გამო, კიდევ ერთხელ ბოდიში მოუხადოს. ამ მიზნით, მან გადაწყვიტა, 11 ოქტომბერს თბილისში საქველმოქმედო კონცერტი გამართოს. ივერის განცხადებით, 11 ოქტომბერი სპეციალურად შეირჩა, რადგან ეს არის დღე, როდესაც „ლგბტ“ პირები ღიად საუბრობენ საკუთარ ორიენტაციაზე.

ჯერჯერობით უცნობია, სად გაიმართება კონცერტი. თამარ ივერი მოუწოდებს სხვა ქართველ მომღერლებს, მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ კონცერტში.

საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა კი ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად გადაირიცხება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსად ლევან გენგაშვილი დაინიშნა




შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსად ლევან გენგაშვილი დაინიშნა. ყოფილი უფროსი იაგო საური თანამდებობიდან ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს. ჯერჯერობით მისი განთავისუფლების მიზეზი უცნობია. (ნიუპოსტი)



## მაშველებმა მყინვარწვერიდან ფეხმოტეხილი რუსი ტურისტი ჩამოიყვანეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მეექვსე ქვეგანყოფილების მაშველებმა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში წარმატებით ჩატარებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, მყინვარწვერიდან ფეხმოტეხილი რუსი ტურისტი ქალბატონი ჩამოიყვანეს. დაბა ყაზბეგში, მყინვარწვერიდან ჩამოსვლისას, 1963 წელს დაბადებულ რუს ტურისტ ლიდია ფუკინას ფეხი დაუცურდა, მოიტეხა და სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დახმარება.

სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე გავიდა შემთხვევის ადგილზე. მაშველებმა ლიდია ფუკინას პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, რის შემდეგაც დაბაში ცხენით ჩამოიყვანეს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა. ამ დროისთვის დაშავებული ქალბატონის მდგომარეობა სტაბილურია. (ნიუპოსტი)



ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ყურადღება, კითხვა:

– როგორ ფიქრობთ, ბატონო მოაზროვნე, ცოლი გღალატობთ?

– არა, ბატონო წამყვანო!

– ახლა კი ყურადღება ეკრანზე!..

*****

სიკვდილის სარეცელზე მყოფი ბებია შვილიშვილს უხმობს:

– ჩემო ლამაზო, ძალიან მინდა იცოდე, რას გიტოვებ მემკვიდრეობით... ანდერძით შეგხვდება: ფერმა, სადაც არის 3 სახლი, 10 მანქანა, 1000 ქათამი, იპოდრომი, 2000 ღორი, 2 მაღაზია... და ეს ყველაფერი შენთვის მინდა!

– მადლობა, ბებიკო! სად არის ეს ფერმა?

– სად და „ფეისბუკშია“, ჩემო ლამაზო...

*****

სიბრაზე – ეს არის მდგომარეობა, როდესაც ენა ბევრად წინ უსწრებს ტვინს...

*****

ორი დაქალი საუბრობს:

– ყველა კაცი სვამს, რა!

– ჩემი უნამუსო კი ჭამს კიდეც!!!

*****

ღამის 3 საათზე ვეტერინართან ტელეფონის ზარია:

– ალო, ვეტერინარი ბრძანდებით?

– დიახ! რაიმე სასწრაფოა?

– რა თქმა უნდა!!! ჩემი სახლის სხვენზე კატებს სექსი აქვთ და საშინელ ხმებს გამოსცემენ! ვერაფრით ვიძინებ!!!

– დაუძახეთ ერთი მამრ კატას ტელეფონთან!

– თქვენ ფიქრობთ, რომ სექსს თავს დაანებებს და ტელეფონთან მოვა?

– ნუ, მე ხომ დავანებე, არა?!

*****



სადილობისას ქმარი ცოლს კომპლიმენტს ეუბნება:

– საყვარელო, როგორი გემრიელი სოკოა, ძალიან მომეწონა! რეცეპტი საიდან?

– დეტექტივიდან...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ტუჩებში კოცნის ხანგრძლივობის რეკორდი... მამაკაცებმა გააუმჯობესეს



ალბათ, ძალიან უსიამოვნო შეგრძნებები გაგიჩნდათ, თუმცა ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა მესაჯდომეები თავის გამოჩენას თუნდაც, ყველაზე უჩვეულო გზით ცდილობენ.

როგორც ირკვევა, კოცნის ხანგრძლივობის ახალი რეკორდი დაამყარეს და გინესის წიგნში მოხვდნენ ნიუ-ჯერსის კოლეჯის სტუდენტები 19 წლის ბობი კანცელო და 20 წლის მეტი დელი, რომლებმაც ერთმანეთი შეუჩერებლად მთელი 32 საათი, 30 წუთი და 45 წამი ლოშნეს. ალბათ, სასწავლებელში ჰომოსექსუალიზმის ლექციებსაც თუ უტარებდნენ...

საინტერესოა, რომ ამ ორი გეის კოცნაობა ტრანსლირება რეალურ დროში ინტერნეტის დახმარებით ხდებოდა. მათ მსოფლიო რეკორდი 23 წუთით გააუმჯობესეს.

**dailytelegraph.com.au**

## გაინტერესებთ, რას გეტყოდათ თქვენი ძაღლი, ლაპარაკი რომ შეეძლოს?



ალბათ, ამ კითხვაზე ბევრს ჩაეღიმება ან ულვაშებში, ან მინიმუმ, საულვაშეში მაინც, მაგრამ კიდევ ერთხელ გეკითხებით – არ გაინტერესებთ, რას გეტყოდათ თქვენი ოთხფეხა მეგობარი, ლაპარაკი რომ შეეძლოს?

ვისაც არ გაინტერესებთ, არც წაიკითხოთ, რასაც ქვემოთ ვწერთ, დანარჩენებს კი აი, რას ვეტყვით:

თურმე, უნგრეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა სპეციალური პროგრამა შექმნა, რომელსაც ძაღლის ყეფის ადამიანის ენაზე „გადათარგმნა“ შეუძლია.

ექსპერიმენტში მონაწილეობა 14-მა ძაღლმა მიიღო, რომლებიც მეცნიერებმა ექვს ერთმანეთისგან განსხვავებულ სიტუაციაში – უცხო ადამიანის გამოჩენისას, ჩხუბის ცქერისას, სეირნობისას, მარტო ყოფნისას, შორს მოსროლილი ნივთის მოტანისას და თამაშისას ააყეფეს, შემდეგ კი ეს ხმები ახალ პროგრამას ამოაცნობინეს.

საინტერესოა, რომ უნგრელი სწავლულების მიერ შექმნილმა პროგრამამ ექვსივე სიტუაცია ყეფის ხმოვანების მიხედვით, თითქმის უშეცდომოდ გადმოთარგმნა.

უნგრელების ინფორმაციით, მათი ახალი პროგრამა მცირე ზომის მოწყობილობაშია ჩატვირთული, რომელიც ძაღლის პატრონებს დიდ დახმარებას აღმოუჩენს, თუმცა მისი გაყიდვები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაიწყოს, რაც პროგრამის მიერ დაშვებული შეცდომები მინიმუმამდე შემცირდება.

**strannosti.ru**

## რომელი ავტომობილების მძღოლები არიან უფრო აგრესიულები?



მართალია, ბრიტანელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ამ კვლევამ ბევრს ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ უმრავლესობა მაინც ძალიან დაინტერესდა, რადგან საქმე ხომ ყოველდღიური ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სფეროს ეხება.

ბრიტანელი მეცნიერები დაინტერესდნენ, რამდენად მოქმედებს ავტომობილის მარკა მისი მფლობელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და რა დოზებით ავლენენ აგრესიას ამა თუ იმ მარკების მძღოლები.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე კონფლიქტურები „ბეემვე“-ს მარკის მფლობელები არიან. კერძოდ, გამოკითხული 30 ათასი რესპონდენტიდან აღნიშნული პოპულარული მარკის მძღოლთან უთანხმოება დაახლოებით 60 პროცენტს მოსვლია.

არანაკლებ აგრესიულები აღმოჩნდნენ „თეთრი მიკროავტობუსების“, ანუ „მარშრუტკების“ მძღოლები, რომლებიც თურმე, არც ბრიტანელებს აკლებენ ჯიშ-ჯილაგისა და კარგ-კეთილების მოკითხვას და ალბათ, არც საშინლად უგემოვნო სიმღერების მოსმენაზე ამბობენ უარს.

აგრესიული მძღოლების რეიტინგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. „ბეემვე“; 2. „თეთრი მიკროავტობუსი“; 3. „აუდი“; 4. „ფორდი“; 5. „ლენდ როვერი“; 6. ნებისმიერი სატვირთო; 7. „ოპელი“; 8. „რენჯ როვერი“; 9. „ფოლკსვაგენი“; 10. „მერსედესი“.

**cars.ru**

## იაპონური რობოტი დღეში 6 ათას დოლარს შოულობს



ამომავალი მზის ქვეყანაში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც ტექნოლოგიურ მიღწევებს მიეძღვნა, ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი, მაგრამ უამრავი უნიკალური თვისების მქონე რობოტი წარადგინეს, რომელსაც მაგალითად, აქვს ფუნქცია, დიასახლისთან ერთად ბაზარში საყიდლებზე იაროს და ქმრისგან განსხვავებით საერთოდ არ იჯიჯღინოს.

ცნობილია ისიც, რომ რობოტი იაპონელი და ამერიკელი მეცნიერების ერთობლივი ნახელავია, რომლის მართვაც მობილური ტელეფონების საშუალებით შეიძლება.

თანამედროვე ადამიანების უსულო ასისტენტს დაპროგრამების შემთხვევაში, შეუძლია პატრონს მოასმენინოს სასურველი მუსიკა, დაეხმაროს ტვირთის გადატანაში და ასე შემდეგ, თუმცა ყველა ამ დავალების შესასრულებლად რობოტს სათითაო ბრძანების მიცემა სჭირდება. მისი შემქმნელების თქმით, უკვე მომავალ წელს ისინი მიიღებენ გაცილებით მეტი თვისების მქონე მანქანას და მისი მართვა უფრო იოლი იქნება.

ამის მიუხედავად, რობოტი უკვე დღეს ცდილობს შემქმნელებისთვის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას: დღეში 6300 აშშ დოლარად მისი დაქირავება ნებისმიერ ფირმას შეუძლია, რომელსაც მომხმარებლის თვალში საკუთარი პრესტიჟის ამაღლება სურს.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ერთ-ერთ ქალაქში სულ ცოტა ხნის წინ გამოსცადეს რობოტი, რომელიც მეეზოვის ფუნქციებს ასრულებს და იმ შემთხვევაში, თუკი ის მომხმარებლების მოწონებას დაიმსახურებს, სამომავლოდ უკვე მთელ იტალიას რკინის მეეზოვეები დაასუფთავებენ.

**chip.ua**

## ფილტვის კიბოს დიაგნოზის დასმა ლოყების ფერის მიხედვით მოხერხდება?



ფილტვის კიბოს გამოვლენის რევოლუციური მეთოდი შეიმუშავეს ამერიკელმა მეცნიერებმა, რომელიც საშუალებას იძლევა, ეს უმძიმესი დაავადება ლოყების ფერის მიხედვით განისაზღვროს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ამერიკელებმა გამოიგონეს მოწყობილობა, სახელწოდებით „პარციარული სხივური სპექტროსკოპიული მიკროსკოპია“ და რამდენადაც რთულია მისი სახელი, იმდენად ადვილია პრაქტიკაში გამოყენება.

კერძოდ, კვლევის დროს საჭიროა მოწყობილობის სინათლის პაციენტის ლოყისკენ მიშვება.

სიახლის ავტორთა მტკიცებით, მათი მოწყობილობა თითქმის 100-პროცენტიან დიაგნოზს სვამს და რაც მთავარია, უმოკლეს დროში.

კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფილტვის კიბოს მქონე პაციენტებში ქრომატინის მომატებული გავრცელება შეინიშნება, სწორედ იმ ნივთიერების, რომლითაც ლოყაზე განლაგებული ქრომოსომები იკვებებიან.

**medicine.newsru.com**

## ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის ქლიავი გამოიყენეთ



ასაკის მატებასთან ერთად, ბუნებრივია, ძვლების სიმტკიცეც კლებულობს და 50 წელს გადაცილებული ადამიანები ოსტეოპოროზის რისკის ჯგუფში ექცევიან, რომლის მთავარი სიმპტომიც ძვლების მტვრევადობა გახლავთ.

სპეციალისტების განმარტებით, დღეისთვის არსებული მედიკამენტები არცთუ სახარბიელო შედეგს იძლევა და მაქსიმუმ პროცესის შენელებას თუ ახერხებს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამერიკელი მეცნიერების აღმოჩენა ნამდვილად მნიშვნელოვანია, რადგან საქმე ეხება საკმაოდ ადვილ და რაც მთავარია, მკურნალობის ეფექტურ მეთოდს, რომელსაც ორგანიზმის ოსტეოპორიზისგან დაცვა შეუძლია.

კონტინენტსგაღმელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქლიავის (განსაკუთრებით სასარგებლო ქლიავის ჩირი აღმოჩნდა) მიღება ადამიანს ძვლის მასის აღდგენის უნიკალურ შესაძლებლობას ანიჭებს.

ექსპერიმენტი ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილები. ერთ ჯგუფს ექსპერტები ქლიავის ჩირით რეგულარულად კვებავდნენ, მეორეს რაციონში კი აღნიშნული პროდუქტი საერთოდ არ შედიოდა. 6 თვის გასვლის შემდეგ დადგინდა, რომ თაგვებს, რომლებსაც ქლიავი საერთოდ არ მიუღიათ, ძვლები უფრო მტვრევადი ჰქონდათ. ამასთანავე, ჩირის მიღებით მღრღნელების ძვლების სიმტკიცე მთელი 85 პროცენტით გაიზარდა, საღმა ქლიავმა კი 50-პროცენტიანი მატების შედეგი გამოიღო.

**dr20.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. მხ/ფ „... შვიდეული“
2. თხევადი ცხიმი, მაგ., თევზის
3. მდინარე აფხაზეთში
4. ბილიარდის ჯოხი
5. კალიფორნიის შტატის გუბერნატორი
6. ჩანჩქერი აშშ-ში
7. მთა, დასაჯეს ქრისტე
8. მჭადის ფქვილით შეზელილი ბადაგი
9. ქვირითიდან გამოსული ბაყაყი
10. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე
11. შაქარში ათქვეფილი კვერცხი
12. მსახიობი ... უიზერსპუნი
13. მტაცებელი თევზი ოკეანეში
14. ტელევიზორის კინესკოპი
15. პოეტი იოსებ ...
16. ჯუჯა კამეჩი
17. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
18. ჩოგბურთელი ანდრე ...
19. ხუთკაციანი ანსამბლი
20. ქალაქი საფრანგეთში
21. მათემატიკის ნაწილი
22. მსახიობი ელიზაბეტ ...
23. მისი დედაქალაქია ჰანოი
24. რაში დებენ პლომბს
25. წყლის ძუძუმწოვარი
26. ჩინეთის დედაქალაქი
27. პატარა გლისერი
28. პიესა „რევიზორის“ ავტორი
29. ბეთჰოვენი. „მთვარის ...“
30. მუხის ნაყოფი
31. ჭადრაკის ფიგურა
32. მდინარე საფრანგეთში
33. მომღერალი ... კრავიცი
34. ხეობა შიდა ქართლში
35. მომღერალი ეკა ...
36. გამადიდებელი ხელსაწყო
37. იტალიის დედაქალაქი
38. დარტყმით ამობურცული ადგილი
39. მოხარშული ღორის ფეხები ძმარში
40. ერთგვარი შავი ლუდი
41. მსახიობი ... რივზი
42. ღილები, მაფები, ლენტები და სხვა
43. კურსკის მაგნიტური ...
44. გიორგი სააკაძის სოფელი
45. კომპოზიტორი მიქაელ ...
46. მსახიობი ... იოვოვიჩი
47. მსახიობი ... არტმანე
48. მეცნიერება ვარსკვლავებზე
49. სამკურნალო მცენარე
50. მობი დიკი: თეთრი ...
51. დიკენსი „ნიკოლას ...“
52. უკუღმა, ანუ ...
53. დაბა ...-გრუზინსკაია
54. მეკარე ლევ ...
55. „ხევის ბერი გოჩა“ მწერალი
56. მუზეუმი სანკტ-პეტერბურგში
57. ჩვილის სიტყვა
58. ორლეანელი ქალწული ... დ'არკი
59. ნორვეგიის დედაქალაქი
60. ბულგარული არაყი
61. გაზქურის საცხობი
62. გამომძიებელი, ანუ ...
63. პირველი კოსმონავტი
64. ერთგვარი ქუდი
65. მსახიობი ... რიჩარდსონი
66. ... პლისეცკაია
67. ნიანგის სახეობა
68. იჯარა
69. ერთ-ერთი ჯიშის ბოცვერი
70. ოდისევსის ვაჟი (პოემიდან)
71. ხრიკი, ფანდი
72. მატადორი, იგივე ...
73. რუსეთის დედაქალაქი
74. ოსური ცეკვა
75. ყურძენი იზაბელა, ანუ ...
76. წერტილოვანი პიგმენტი კანზე
77. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში
78. ნიშნავს ცივს
79. შტატი აშშ-ში
80. კომიკოსები: პატი და ...
81. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
82. მღვდელმთავარი (ძვ.)
83. ზღვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს შორის
84. სავსე მთვარის ეპითეტი
85. დურბინდი
86. ქალაქი ნიდერლანდში
87. ორიდან ერთის არჩევანი
88. მარცვლოვანი მცენარე
89. აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ... ალიევი
90. ძვირფასი ქვა
91. ზამთრის სპორტის სახეობა
92. გულმკერდის ძვალი
93. მოდუღებული ტყემლის წვენი
94. კუ, ჰქონდა ოქროს გასაღები
95. იაპონიის დედაქალაქი
96. „გაზაფხული შემოსულა ...“
97. გამოუწვავი აგური
98. დადებითი ელექტროდი
99. განგაშის სიგნალი
100. ადამიანი ხარის თავით (მით.)
101. ჭიდან წყლის ამოსაღები ძელი
102. ქოქოსის გული
103. ხარებთან ბრძოლა
104. პარლამენტის თავმჯდომარე
105. ესკიმოსების ნავი
106. მეტყველების ორგანო
107. სპორტის სახეობა
108. მწერალი ჟიულ ...
109. ებრაული ენა
110. ერთთვალა გოლიათი ბერძ.მით.
111. მხ/ფ „... ჭაბუკი“
112. იუპიტერის თანამგზავრი
113. წამლების მაღაზია
114. ცური
115. მსახიობი ანდრეი ...
116. ერთნახადი არაყი
117. უდაბნო სამხ. აფრიკაში
118. რბილი სასის გაგრძელება
119. მომღერალი ... ბელაფონტე
120. სხივი. ჭრის ლითონს
121. ტბა კანადაში
122. მოყავისფრო ჭრელი
123. ბიზეს ოპერა
124. ექსპრეზიდენტი ბილ ...
125. ტილის კვერცხი
126. ჭრილობა
127. ქალაქი გამოქვაბული (საქართ.)
128. მსხვერპლად შესაწირავი
129. მსახიობი ... კერტისი
130. შოტლანდიური ნაგაზი
131. ჯადოქრობა
132. ოსტატების გაერთიანება
133. ბულგარელი ნათელმხილველი
134. შოლოხოვი. „წყნარი ...“
135. ხალხის მწკრივი დახლთან
136. მსახიობი ... ფარულავა
137. ჭური
138. მომღერალი ... კალასი
139. ტარიელი, ავთანდილი და ...
140. ალკოჰოლური სითხე
141. მსახიობი სტივენ ...
142. მოკრივე მუჰამედ ...

პასუხები: 1. შესანიშნავი; 2. ზიპი; 3. ენგური; 4. კიი; 5. შვარცენეგერი; 6. ნიაგარა; 7. გოლგოთა; 8. ფელამუში; 9. თავკომბალა; 10. აბორიგენი; 11. გოგლიმოგლი; 12. რიზ; 13. მურენა; 14. ეკრანი; 15. ნონეშვილი; 16. ანოა; 17. ტამიში; 18. აგასი; 19. კვინტეტი; 20. ლიონი; 21. არითმეტიკა; 22. ტეილორი; 23. ვიეტნამი; 24. კარიესი; 25. ლომვეშაპი; 26. პეკინი; 27. სკუტერი; 28. გოგოლი; 29. სონატა; 30. რკო; 31. პაიკი; 32. ლუარა; 33. ლენი; 34. რკონი; 35. კვალიაშვილი; 36. მიკროსკოპი; 37. რომი; 38. კოპი; 39. მუჟუჟი; 40. „პორტერი“; 41. კიანუ; 42. გალანტერეა; 43. ანომალია; 44. ნოსტე; 45. ტარივერდიევი; 46. მილა; 47. ვია; 48. ასტრონომია; 49. ალოე; 50. ვეშაპი; 51. ნიკლბი; 52. უკუ; 53. ნია; 54. იაშინი; 55. ყაზბეგი; 56. ერმიტაჟი; 57. ალუ; 58. ჟანა; 59. ოსლო; 60. რაკია; 61. ღუმელი; 62. დეტექტივი; 63. გაგარინი; 64. კეპი; 65. მირანდა; 66. მაია; 67. გავიალი; 68. არენდა; 69. შინშილა; 70. ტელემაქე; 71. ოინი; 72. ტორერო; 73. მოსკოვი; 74. „სიმდი“; 75. ადესა; 76. ხალი; 77. ბობი; 78. კრიო; 79. არიზონა; 80. პატაშონი; 81. მექა; 82. არქიელი; 83. მარმარილო; 84. ბადრი; 85. ბინოკლი; 86. როტერდამი; 87. ალტერნატივა; 88. ნინიბურა; 89. ჰეიდარ; 90. იასპი; 91. ბიათლონი; 92. ლავიწი; 93. კვანარახი; 94. ტორტილა; 95. ტოკიო; 96. ლენ; 97. ალიზი; 98. ანოდი; 99. სირენა; 100. მინოტავრი; 101. ოწინარი; 102. კოპრა; 103. კორიდა; 104. სპიკერი; 105. უმიაკი; 106. ენა; 107. კრივი; 108. ვერნი; 109. ივრითი; 110. ციკლოპი; 111. საბუდარელი; 112. იო; 113. აფთიაქი; 114. ჯიქანი; 115. მირონოვი; 116. რახი; 117. კალაჰარი; 118. ნაქი; 119. ჰარი; 120. ლაზერი; 121. ონტარიო; 122. ჭროლა; 123. „კარმენი“; 124. კლინტონი; 125. წილი; 126. იარა; 127. ვარძია; 128. ზვარაკი; 129. ტონი; 130. კოლი; 131. მაგია; 132. ამქარი; 133. ვანგა; 134. დონი; 135. რიგი; 136. ია; 137. ქვევრი; 138. მარია; 139. ფრიდონი; 140. სპირტი; 141. სიგალი; 142. ალი. იკითხება: ტაილერი. ბლანშეტი. ფარელი.



1. კოსტიუმირებული წვეულება
2. გეიდარ ფალავანდიშვილი ფილმში
3. მსახიობი ... მერფი
4. საქონლის საკვები
5. მოუჭიქავი გამომწვ. თიხა
6. მსახ. ... უჩანეიშვილი
7. აფროდიტეს სატრფო
8. ტაში
9. იგივეობა, ანუ ... (მათემ.)
10. სახელმწიფო აფრიკაში
11. ნაჭრის თოჯინა
12. ზღვის დიდი კიბორჩხალა
13. იტალიელი ფერმწერი
14. ქალაქი იაპონიაში
15. თაღი
16. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
17. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
18. ვიტამინი: ... მჟავა
19. მწვერვალი კავკასიონზე
20. დაწესებულებების მმართველობა
21. ჯუჯა სამეფო სან-...
22. თევზის ჯიში
23. მსახიობი სიუზენ ...
24. სახლის გადასახურავი ბალახი
25. მინდვრის ყვავილი
26. დირიჟორი ოდისეი ...
27. კბილის ექიმი
28. მხ/ფ „... და შვილიშვილები“
29. მსახიობი ნინო ...-მოურავი
30. კუნძული ოხოტის ზღვაში
31. მსახიობი ... კრამაროვი
32. თმის საცხი
33. ლუდის მასალა
34. კუნძული ინდონეზიაში
35. თეთრი ვეშაპი- ... დიკი
36. კანის ინფექც. დაავად.
37. მისი დედაქალაქია თეირანი
38. რაიმეს მოძრაობის გზა
39. ყინვაგამძლე სითხე
40. მსახიობი ... ტაილერი
41. ტბა აფხაზეთში
42. დონ კიხოტის ცხენი
43. კოვზი, დანა, ...
44. მხატვარი სალვადორ ...
45. ქორეოგრაფი მარის ...
46. ღრიანკალი
47. ხაჩიკიანის „პროფესია“ (ფილმიდან)
48. აქლემების მწკრივი უდაბნოში
49. მტაცებელი თევზი
50. პოეტი ... ასათიანი
51. ყვავილი
52. ცეცხლსასროლი იარაღი
53. კომპოზიტორი ... გაბუნია
54. ნივთიერება თეთრეულისათვის
55. ტასვრეტებიანი კოვზი
56. აკრობატის სამოსი
57. ავადმყოფობის ისტორია
58. მგალობელი ფრინველი
59. ყვავილი
60. ჟამი
61. მუზეუმი მადრიდში
62. ვინი პუჰის ავტორი
63. მახრჩობელა გველი
64. კონან დოილი. „... ძაღლი“
65. იუმორისტი ოთარ ...
66. კენიის დედაქალაქი
67. რეჟისორი ... მიხალკოვი
68. ქალაქი საფრანგეთში
69. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
70. უძველესი კოლხეთი
71. შხამიანი მწერი
72. ფრედი მერკურის ანსამბლი
73. მონეტების კოლექციონერი
74. მდინარე ესპანეთში
75. „მაუგლი“ მგელი
76. რადიოტალღების მიმღები ძელი
77. ფიროსმანაშვილის თიკუნი
78. ხვავი
79. მსახ. ... ბესინჯერი
80. იაპონური მულტიპლიკაცია
81. „ბერნარდა ალბას ...“
82. ქალაქი უზბეკეთში
83. პორტუგალიის დედაქალაქი
84. მოსამართლის მოსასხამი
85. ვირას საპირისპირო ბრძანება
86. მოჭადრაკე ალა ...
87. მსახიობი ... რივზი
88. „ვეფხისტყაოსანი“ პერსონაჟი
89. ცხენის კუდის ბალანი
90. ვენეციური ნავი
91. ხის კენგურუ
92. გემის მზარეული
93. დაკოდილი ცხენი
94. მზის ღმერთი ეგვიპტეში ...-რა
95. თავაშვებული ლრეობა
96. მდინარე ქუთაისში
97. მხატვარი პოლ ...
98. მდინარე ინდოეთში
99. ქრისტიანთა წმინდა თასი
100. ჯუჯა ცხენი
101. მსახიობი ... ჟირარდო
102. ტუჩი
103. მშვიდი განწყობა
104. ფორმანის ფილმი მოცარტზე
105. მომღერალი ეკა ...
106. ახალგაზრდა მამალი
107. ღამის ფრინველი
108. რეჟისორი პიერ პაოლო ...
109. მწერალი ... დე მოპასანი
110. ბოჭკოვანი მცენარე
111. სქელი ქაღალდი
112. წლოვანება
113. მდინარე აფხაზეთში
114. მდინარე აფრიკაში
115. ... არაბეთს როსტევან
115ა. მწერალი ... დე ბალზაკი
116. ზამბახი
117. მოგზაური ფრიტიოფ ...
118. მოჭადრაკე მიხეილ ...
119. სიმინდის ფქვილის კვერი
120. მსახიობი ვივიენ ...
121. მდინარე აშშ-ში
122. მსახიობი .. დე ფიუნესი
123. ინდიელების ნავი
124. სახელმწიფო ევროპაში
125. ფირმა ...-პარი
126. ლეშის მჭამელი ფრინველი
127. ნიშნავს ცივს
128. მდინარე შუა აზიაში
129. სახოტბო ლექსი
130. თეფში
131. კომპოზიტორი პეტრე ...
132. ... ცეცხლს მუა
133. ... გათეთრდების ყორანი
134. მსახიობი ან ... ლუკ ბესონის ფილმში „ნიკიტა“
135. ქალაქი საფრანგეთში
136. ტურისტის აღჭურვილობიდან: ... ტომარა
137. არქიმედეს შეძახილი აბანოში
138. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
139. ტაბლეტი
140. „მაუგლი“ პითონი
141. კონტინენტი
142. შინაური ცხოველი
143. მწერალი კობო ...

პასუხები: 1. მასკარადი; 2. „ალავერდობა“; 3. ედი; 4. სილოსი; 5. ტერაკოტა; 6. ლევან; 7. ადონისი; 8. აპლოდისმენტი; 9. ტოლობა; 10. უგანდა; 11. ტიკინა; 12. ომარი; 13. ტიციანი; 14. კიოტო; 15. არკა; 16. ტიან; 17. ამერიგო; 18. ასკორბინის; 19. იალბუზი; 20. ადმინისტრაცია; 21. მარინო; 22. კობრი; 23. სარანდონი; 24. ისლი; 25. ბაბუაწვერა; 26. დიმიტრიადი; 27. დანტისტი; 28. დიდედები; 29. თარხან; 30. სახალინი; 31. საველი; 32. ბრიოლინი; 33. ალაო; 34. იავა; 35. მობი; 36. მუნი; 37. ირანი; 38. ტრაექტორია; 39. ანტიფრიზი; 40. ლივ; 41. რიწა; 42. როსინანტი; 43. ჩანგალი; 44. დალი; 45. ლიეპა; 46. მორიელი; 47. ენდოკრინოლოგი; 48. ქარავანი; 49. მურენა; 50. ლადო; 51. ვარდი; 52. პისტოლეტი; 53. ნუნუ; 54. ლილა; 55. ქაფქირი; 56. ტრიკო; 57. ანკეტა; 58. იადონი; 59. იასამანი; 60. დრო; 61. პრადო; 62. მილნი; 63. ბოა; 64. ბასკერვილების; 65. ტატიშვილი; 66. ნაირობი; 67. ნიკიტა; 68. ნანტი; 69. ესე; 70. აია; 71. კრაზანა; 72. „ქვინი“; 73. ნუმიზმატი; 74. ებრო; 75. აკელა; 76. ანტენა; 77. ნიკალა; 78. ბარაქა; 79. კიმ; 80. ანიმე; 81. სახლი; 82. ბუხარა; 83. ლისაბონი; 84. მანტია; 85. მაინა; 86. კუშნირი; 87. კიანუ; 88. ფრიდონი; 89. ძუა; 90. გონდოლა; 91. ვალაბი; 92. კოკი; 93. იაბო; 94. ამონ; 95. ორგია; 96. რიონი; 97. სეზანი; 98. განგი; 99. გრაალი; 100. პონი; 101. ანი; 102. ბაგე; 103. იდილია; 104. „ამადეუსი“; 105. მამალაძე; 106. ყვინჩილა; 107. ბუ; 108. პაზოლინი; 109. გი; 110. ბამბა; 111. მუყაო; 112. ასაკი; 113. კელასური; 114. ლიმპოპო; 115. იყო; 115ა. ონორე; 116. ირისი; 117. ნანსენი; 118. ტალი; 119. მჭადი; 120. ლი; 121. კოლორადო; 122. ლუი; 123. პიროგა; 124. დანია; 125. ისი; 126. სვავი; 127. კრიო; 128. ამუდარია; 129. ოდა; 130. საინი; 131. ჩაიკოვსკი; 132. ორ; 133. არ; 134. პარიიო; 135. რუანი; 136. საძილე; 137. ევრიკა; 138. დიოგენე; 139. აბი; 140. კაა; 141. ამერიკა; 142. თხა; 143. აბე. იკითხება: კივი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გერმანელ მამაკაცს სასამართლომ... სიცილი აუკრძალა



ცხოვრობს, თურმე, გერმანიაში 54 წლის ბუღალტერი, ვინმე ჰოახიმ ბაჰრენფელდი, რომელსაც სტრესის მოსახსნელად საკმაოდ ორიგინალური, მაგრამ ამასთანავე, უცნაური ხერხი მოუგონია – დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ის ყოველ საღამოს პარკში მიდიოდა, სადაც ჯდებოდა და მთელი ძალით, მთელი ხმით და არსებით ხარხარებდა.

– ეს მე ძალიან მჭირდება, როგორც ჰაერი, საჭმელი და წყალი. გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, როცა ვიცინი, – ასეთი ჩვენება მისცა გერმანელმა ბუღალტერმა სასამართლოს, მაგრამ რად გინდათ, ვინ მოუსმინა – მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ მას უმიზეზო სიცილისთვის თავი უნდა დაენებებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარიმის სახით 7 ათასი ევროს გადახდა დაეკისრებოდა, ან კიდევ 6 თვით პატიმრობა შეეფარდებოდა...

თურმე ერთ დღეს ჰოაკიმ ბაჰრენფელდის ხორხოცი პარკში მისულ სხვა დამსვენებლებს გაუგიათ, რომლებსაც სიჩუმე და სიმშვიდე სურდათ, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მათ მამაკაცისთვის გაჩუმება ეთხოვათ, ადგნენ და პირდაპირ სასამართლოში გაცვივდნენ, სადაც რა გადაწყვეტილებაც გამოიტანეს, კი გითხარით უკვე.

– ახლა რაღა მეშველება, არ ვიცი, თუმცა პატიმრობასა და ჯარიმას ისევ გაჩუმება მირჩევნია, – მოწყენილმა დატოვა შეუბრალებელი სასამართლო მხიარულმა გერმანელმა.

აი, ასეთი ინტრიგანი ადამიანებით რომაა სავსე მსოფლიო, იმიტომ ვართ კარგად!..

*rokf.ru*

## ინგლისში ამზადებენ პიესას მათთვის, ვისაც თეატრებში... ძილი უყვარს



– მიხო, მიხო, შეხედე, ჩვენს უკან კაცს სძინავს, – აღშფოთდა თეატრში მისული მარო უცნობი მამაკაცის საქციელის გამო.

– მაგისთვის მაღვიძებ, შე ჩემის თვრამეტიანო?! – კბილები გამოსცრა მიხომ...

გარდა იმისა, რომ არიან დაუდევარი ადამიანები, რომლებიც არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, სპექტაკლის მსვლელობისას მობილურ ტელეფონებს მაინც არ თიშავენ, არც ისეთების ნაკლებობაა, რომლებსაც თეატრში „ძილის მინისტრი“ სტუმრობთ.

ჰოდა, სწორედ ასეთი ადამიანებისთვის გადაწყდა ლონდონში პიესის დადგმა, რომლის სახელწოდებაც „იავნანა“ გახლავთ და რომლის მიზანიც მაყურებლისთვის მშვიდი და ტკბილი ძილის მოგვრაა.

იდეის ავტორთა ინფორმაციით, პიესის პრემიერა 2011 წლის ზაფხულში გაიმართება, ბილეთის ღირებულება კი 66 აშშ დოლარის ეკვივალენტური იქნება.

მართალია, ბილეთის ფასი არცთუ მცირეა, მაგრამ ვინც „იავნანაზე“ დასწრებას მოისურვებს, სპეციალურ პირობებსაც მიიღებს. მაგალითად, კომფორტულ სავარძელს, პიჟამას, კბილის ჯაგრისს და მოკლედ, ყველაფერს, რათა გემრიელად გამოიძინოს და მეორე დილით სამსახურში თეატრიდან წავიდეს.

– პიესაზე ველით იმ მაყურებელს, რომელიც ყოველთვის ოცნებობდა, ღამე ლონდონის ცენტრში გაეთია, – განმარტავენ იდეის ავტორები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*cnews.canoe.ca*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**18 ივლისი:** გრძელი და მომაბეზრებელი დღე იქნება და ერთი სული გექნებათ, როდის დამთავრდება.

**კურო 22.04-21.05**

**18 ივლისი:** არსებობს საფრთხე, რომ თქვენს რეპუტაციას ჩრდილი მიადგეს. ყველაფერი იღონეთ, რომ ეს არ მოხდეს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**18 ივლისი:** შეიძლება რაღაც საფრთხე დაგემუქროთ. თუ გრძნობთ, რომ მასთან გამკლავება გაგიჭირდებათ, სახლიდან არ გახვიდეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**18 ივლისი:** დიდი ცვლილებებისთვის მზად იყავით. რაღაც გრანდიოზული სიახლის ძებნას დაიწყებთ. გარშემომყოფებთან კამათს მოერიდეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**18 ივლისი:** გარშემომყოფნი თქვენი ამა თუ იმ მოქმედების შეფასებისას არაობიექტურები იქნებიან. ამიტომ მათ აზრებს ნუ დაეყრდნობით. მთავარია, თქვენ იყოთ საკუთარ თავში დარწმუნებული.

**ქალწული 23.08-22.09**

**18 ივლისი:** შესაძლოა, დღეს ოჯახის წევრებთან სერიოზული კონფლიქტი მოგივიდეთ. შეეცადეთ, ურთიერთბრალდებებს მოერიდოთ და რაც მთავარია, თქვენ არ წამოიწყოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**18 ივლისი:** არის ალბათობა, რომ სათქმელის გარკვევით გადმოცემა გაგიჭირდეთ. თუ არ გსურთ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, აზრების დაულაგებლად არაფერი თქვათ.

**მორიელი 23.10-21.11**

**18 ივლისი:** ეს დღე თქვენს ცხოვრებაში საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდის დასაწყისი იქნება. გარკვეულ საკითხებში ხასიათის სიმტკიცის გამოვლენა მოგიწევთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**18 ივლისი:** დაელოდეთ, სანამ ქარიშხალი გადაივლის, რომელიც, სავარაუდოდ, მოხდება და ამის შემდეგ გამოდით დღის სინათლეზე. ასე დროსაც დაზოგავთ და ენერგიასაც.

**თხის რქა 22.12-19.01**

**18 ივლისი:** შეიძლება ძალიან აჩქარებთ მოვლენებს. დადინჯდით და ზომიერება დაიცავით, რად გინდათ, ვინმემ თავქარიანად ჩაგთვალოთ?

**მერწყული 20.01-18.02**

**18 ივლისი:** დრო არ ითმენს. ამიტომ ნებისყოფა მოიკრიბეთ და სწრაფად იმუშავეთ, მაგრამ ისე, რომ ეს ხარისხზე არ აისახოს.

**თევზები 19.02-20.03**

**18 ივლისი:** საკუთარი თავის საუკეთესო მეგობარი თავად იქნებით. შეეცადეთ, წვრილმანებზე არ გაბრაზდეთ და თავი არავის დააჩაგვრინოთ.

## დიაბეტის ჭრილობების სამკურნალოდ მატლების გამოყენება შეიძლება?



სულ ცოტა ხნის წინ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის თემაც „ანტიმიკრობული ნივთიერებები და ქიმიოთერაპია“ გახლდათ, ჰავაის შტატის უნივერსიტეტის პროფესორმა ლორენს ირონმა დიაბეტის ჭრილობების მკურნალობასთან დაკავშირებული საკმაოდ საინტერესო კვლევის შედეგები წარადგინა.

როგორც ირკვევა, მის ცდებში დიაბეტის მქონე 37 პაციენტი მონაწილეობდა, რომელთაგან 27-ზე მკურნალობამ დადებითი შედეგი მოახდინა.

ტრადიციულად, დიაბეტის ჭრილობების დამუშავება და მკურნალობა დაზიანებული და მკვდარი ქსოვილების სკალპელით მოჭრით (სანაცია) ხდება, თუმცა ასეთი მეთოდები ხშირად არცთუ წარმატებულია ხოლმე. დოქტორი ლორენს ირონი კი მიიჩნევს, რომ დაზიანებული ადგილების სანაცია მატლების გამოყენებით პრობლემის ახალი და გაცილებით ეფექტური საშუალება შეიძლება გახდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლორენს ირონმა ცდები პირველ ეტაპზე 37 პაციენტზე ჩაატარა, რომელთაგან ზოგიერთის ჭრილობის ასაკი თითქმის 5 წელი იყო. ჭრილობებზე მეცნიერი 50-დან 100 მატლს (განსაკუთრებული სახეობის მატლებზეა საუბარი თუ სპეციალურად მკურნალობის კურსისთვის გამოყვანილზე, სამწუხაროდ, არ ზუსტდება) და სპეციალურ სახვევს ადებდა. შემდგომ ეტაპზე ჭრილობას სახვევს ხსნიდა და ძველ მატლებს ახლებით ცვლიდა. სულ პაციენტებს ხუთი ასეთი ციკლის გავლა უწევდათ.



ლორენს ირონი განმარტავს, რომ ჩვეულებრივ, მატლები მკვდარი ქსოვილებით იკვებებიან, საღსა და ცოცხალს კი ახლოსაც არ ეკარებიან. ამ პროცესში მატლი სპეციფიკურ ქიმიურ ნივთიერებას გამოყოფს, რომელიც მას მკვდარი ქსოვილის შეწოვაში ეხმარება. გარდა ამისა, მატლი კიდევ ერთ ქიმიურ ნივთიერებასაც გამოყოფს, რომელიც ქსოვილის გრანულაციის ზრდის სტიმულირებას ახდენს და ჭრილობის შეხორცებას დამატებით დახმარებას უწევს.

ცდებმა აჩვენა, რომ მატლებით მკურნალობის კურსმა პაციენტებს მკვდარი ქსოვილები სრულად მოაშორა, 50 პროცენტში კი ჭრილობები მთლიანად შეახორცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 37-დან 27-ზე მატლებით მკურნალობამ დადებითი შედეგი აჩვენა, დარჩენილ 5 პაციენტზე კი ეფექტი იმის გამო ვერ მოახდინა, რომ მათ ჭრილობებში უკვე ძალიან ძლიერი ანთებითი პროცესები, სისხლდენა და ძვლების დაზიანება აღინიშნებოდა.

ამერიკელი მეცნიერის ამ ახალ აღმოჩენას ახლა უკვე სხვა სპეციალისტებიც შეისწავლიან და იმედია, პაციენტებისთვის სასურველ დასკვნას უახლოეს ხანებში გამოიტანენ.

*globalscience.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



იყო და არა იყო რა, იყო ერთი ყმაწვილი, რომელიც ბოროტმა ჯადოქარმა დაწყევლა – ყმაწვილს წელიწადში მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიტყვის წარმოთქმა შეეძლო. და აი, ყმაწვილმა 5 წელი ისე ითმინა, ერთი სიტყვაც არ დაუძრავს. ამ 5 წელიწადში გოგო შეუყვარდა და გადაწყვიტა, მისთვის ცოლობა ეთხოვა:

– მე შენ მიყვარხარ! ცოლად გამომყვები?

გოგონამ ყურსასმენები გამოიძრო და:

– რა მითხარი?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია

211359457

კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.57